ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 17 იანვარი, 2019 | №13 (7868) | ფასი: 60 თეთრი

გიორგი ადუაშვილი ზურაბ კუჭავას განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის დააკავეს

რა მოხდა 15 იანვარს ვერაზე



გვ.7

17 იანვრიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

ვინ მოკლა ინსპექტორი

ქართული დეტექტივი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

გიორგი გახარია პრემიერად მიდის

რას იტყვის საპატრიარქო

გვ.2

პეტრე მამრაძე: „ივანიშვილი კობახიძეს უფრო ენდობა, ვიდრე ბესელიას“

გვ.6

აფეთქება დიდ დიღომში

გარდაცვლილია სამი ადამიანი

დიდ დიღომში, ავთანდილის ქუჩაზე მომხდარი აფეთქების შედეგად სამი ადამიანია გარდაცვლილი.

როგორც კორსპუსის მცხოვრებლები აცხადებენ, მთელი დღის განმავლობაში კორპუსში გაზის სუნი იგრძნობოდა, რის გამოც მათ „ყაზტრანსგაზის“ წარმომადგენლები გამოიძახეს, რომლებმაც სადარბაზო დაათვალიერეს და თქვეს, რომ რამე პრობლემას ან დაზიანებას ვერ მიაკვლიეს და ტერიტორია დატოვეს.

აფეთქება ახალაშენებული კორპუსის მეექვსე სართულზე მოხდა. ასევე დაზიანებულია კიდევ რამდენიმე სართული, მათ შორის, პირველი სართულიც. ჩანგრეულია ლიფტი.

უკვე დადასტურებული ინფორმაციით, აფეთქებას, რომელიც ბუნებრივი აირის გაჟონვას უკავშირდება, 3 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

პაატა ზაქარეიშვილი: „ბესელია ჭკვიანია და ივანიშვილს არ დაარტყამს“

გვ.4

ცხინვალი ქართულ მიწებზე ახალ პრეტენზიებს აცხადებს

გვ.3

სუსმა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე ერთი პირი პასუხისგებაში მისცა

გვ.4

სამართალი

კახა კალაძე: „კორუფციის ნიშნების შემჩნევის შემთხვევაში უკან არ დავიხევთ!“

გვ.3

„ვნახე, როგორ ამოტრიალდა მანქანა და როგორ ჩავარდა არხში“

გვ.7

საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარედ პროკურორი ნანა ხუნჯუა აირჩიეს

გვ.7

ლიძავაში მოსკოველი ბიზნესმენი აფეთქეს

ISSN 1987-9385

5 კრემლმა საქართველოსთან დიალოგის თემა განაახლა?

2 როდის შეიძლება იყოს სისხლში ტყვიის შემცველობა სიცოცხლისათვის საშიში

5 ნოდარ ხარშილაძე: „ამერიკა ნატოს არასდროს დატოვებს“

8 ვენესუელის პარლამენტმა პრეზიდენტი მადურო უზურპატორად გამოაცხადა

როდის შეიძლება იყოს სისხლში ტყვიის შემცველობა სიცოცხლისათვის საშიში

აკაკი ზოიძე: „ტყვიის შემცველობის გამოსაკვლევად, სისხლი იტალიაში გავგზავნეთ და რომ დაზუსტდება, რეგულაციებსაც მერე შემოვიღებთ“

ლელა მდივანი

’თბილისში მცხოვრებ რამდენიმე ოჯახში, ანალიზების შედეგად, ტყვიის მაღალი შემცველობა დაფიქსირდა. არასამთავრობო ორგანიზაციებში ამბობენ, რომ მათთვის ჯერ-ჯერობით უცნობია თუ რა არის ამ ოჯახებისთვის ტყვიის კერა. მთავრობას მიმართავენ, რომ კონკრეტულ პროდუქტებში, ნივთებში მისი შემცველობა აღმოჩენილია და მათი თქმით, იმპორტირებული პროდუქტების შემოწმება რეგულაციებს საჭიროებს.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი აკაკი ზოიძე კი „ახალ თაობასთან“ განმარტავს, რომ ტყვიის შემცველობასთან დაკავშირებული კვლევები სამი თვის განმავლობაში ტარდებოდა და ზუსტი მონაცემები ერთ თვეში გახდება ცნობილი. მანამდე დეპუტატი მიიჩნევს, რომ რაიმე სახის რეგულაციის გატარება ნაადრევია.

აკაკი ზოიძე:

– ჩვენი თხოვნით, გაეროს ბავშვთა ფონდი, მთელი სამი თვის განმავლობაში ატარებდა კვლევას მთელი ქვეყნის მასშტაბით ორიდან შვიდ წლამდე ბავშვებში სწორედ ტყვიის შემცველობასთან დაკავშირებით. მთელი რეგიონების და რაიონების ჭრილში, ანუ ძალიან მყარი და სარწმუნო მონაცემი გვექნება, რამდენად გავრცელებული პრობლემაა სისხლში ტყვიის მომატებული შემცველობა. განსაკუთრებით ეს ბავშვებში არის საზიანო, განვითარებას უქმნის საფრთხეს.

– კვლევა რა ეტაპზეა?

– თვითონ კვლევის საველე ეტაპი დასრულებულია, მაგრამ მონაცემები ერთ თვეში იქნება. ამის შემდეგ გვეცოდინება პრობლემა რამდენად აქტუალურია, ასევე რა ფაქტორების გამო არის ტყვია სისხლში. ეს მონაცემები მოგვცემს საშუალებას, უფრო ჩაღრმავებული კვლევები ჩავატაროთ. ვფიქრობ, გარემოფაქტორებით არის გამოწვეული, იქ შეიძლება არსებობდეს, ასე რომ, ასეთი მარტივი პრობლემა არ არის, რომ სადღაც აღმოჩნდა საკვებ პროდუქტში. მუდმივი წყარო შეიძლება ყველგან, სადაც ადამიანები არიან: საცხოვრებელ სახლში, ბილებში, წყალში, შესაძლოა იყოს ნიადაგში, ან საკვებ პროდუქტებში, მაგრამ ეს ყველაფერი უფრო სერიოზულ კვლევას საჭიროებს და ამ კვლევას სახელმწიფო ვაწარმოებთ ბავშვთა ფონდის დახმარებით.

– იმპორტირებული პროდუქციის შესამოწმებლად რაიმე რეგულაციის გატარების საჭიროება არ დგას?

– იტალიაში იქნა გაგზავნილი სისხლი, დაზუსტდება და როცა ზუსტად გვეცოდინება, ამის მერე უკვე რეგულაციებსაც შემოვიღებთ. თუმცა, რეგულაციებით ვერ დავიწყებთ, ჯერ უნდა დავიწყოთ პრობლემის განსაზღვრით. პრობლემა რა გვაქვს. ამას სჭირდება დრო და როცა დავადგენთ ყველაფერს, მერე შეიძლება ვილაპარაკოთ პრობლემის გადაჭრის გზებზე. მსოფლიოში ასეთი რეგულაცია არსად არ არის, რომ ყველა პროდუქტი ტყვიაზე მოწმდებოდეს, არ არსებობს, შეუძლებელია და ვერც გამოვა, მაგრამ არის გარკვეული რეგულაციები, როგორ უნდა გაკეთდეს ისე, რომ გარემოში არ იყოს, ან სამშენებლო მასალებში არ იყოს, ან ბენზინში. გარემოს მონიტორინგისა და ბენზინის მონიტორინგის შედეგად, რომ ბენზინში არ არის ტყვია.

– თუკი აღმოჩნდება, რომ დგას ეს პრობლემა?

– ჯერ დავადგინოთ და თუ აღმოჩნდა, მერე განვსაზღვრავთ რა შეიძლება გაკეთდეს. პირდაპირ რეგულაციის მიღება არაფერს არ მოგვცემს. ამ პრობლემის გადაჭრას წლები მოუნდა აშშ და ევროპა, რომ ტყვიის მუდმივი ზემოქმედებისგან მოეცილებინა თავისი მოქალაქეები. ტყვიის პოლიციაც კი იყო შექმნილი ზოგიერთ ქვეყანაში, რომელიც ადგენდა, საიდან არის ამ ტყვიის კერა, იმიტომ, რომ სხვადასხვა წყარო არსებობდა. მძიმე მეტალების არსებობა არის პრობლემა, მაგრამ ეს არ არის ერთი და ორი დღის პრობლემა, დიდი ხანია არსებობს და ამიტომაცაა, რომ ჩვენ სერიოზულად უნდა შევისწავლოთ, სერიოზულად უნდა მივუდგეთ ამ პრობლემის გადაჭრის საკითხს და შესაბამისი მეთოდების ჩამოყალიბებას.

❖ ❖ ❖

სანამ, ქვეყნის მასშტაბით ტყვიის შემცველობის დასადგენად კვლევები ტარდება და საბოლოო მონაცემები სააშკარაოზე გამოვა, სხვადასხვა ნივთებსა და პროდუქტებში ტყვიის აღმოჩენის არაერთი შემთხვევა დასტურდება.

როდის შეიძლება იყოს სისხლში ტყვიის შემცველობა სიცოცხლისთვის საშიში, ტყვიის მიღების რა ძირითადი კერები არსებობს ჩვენ გარშემო და რის გაკეთებას გვირჩევენ ექიმები პრევენციისთვის, ამ საკითხზე გაზეთ „ახალ თაობასთან“ ტოქსიკოლოგი **ეკა ქურდაძეს**აუბრობს.

– ტყვიის შემცველობა სხვადასხვა საზომ ერთეულებში იზომება და 50%-ზე მაღალი, უკვე პრობლემაა, თუმცა შესაძლებელია 90 და 100%-იც იყოს საქართველოს მოსახლეობაში, საუბარი მაქვს ზრდასრულ ადამიანებზე და დასაშვებ ნორმამდე ჩაითვალოს. ყველა ქვეყნისთვის ინდივიდუალურია, ჩვენთან ზღვარი უფრო მაღალია, ვიდრე სხვა განვითარებული ქვეყნებისთვის, რომლებიც ზრუნავენ ამაზე.

– სისხლში ტყვიის ჭარბი რაოდენობის არსებობის შემთხვევაში რა შედეგებამდე შეიძლება მივიდეთ? სიცოცხლისთვის საშიშია?

– რა თქმა უნდა, საშიშია, მაგრამ ეს დამოკიდებულია ორგანიზმზე, რამდენად ხანგრძლივად ხდება ეს პროცესი, თორემ ერთჯერადად ტყვიის მოხვედრა თითქმის შეუძლებელია. ტყვია ხანგრძლივი დროის მანძილზე გროვდება სისხლში და შემდეგ, დროთა განმავლობაში, თანდათან იმატებს. ნიადაგშია ყველაზე დიდი რაოდენობით. იქ არის ცოცხალი ჩხირები, რომლებიც ამას გამოყოფს. ეს შეიძლება იყოს გარემოს დაბინძურებითაც განპირობებული.

– ძირითადად საიდან ხვდება ტყვია ორგანიზმში?

– ბევრი წყარო გვაქვს, საიდანაც შეიძლება მოხვდეს ჩვენს ორგანიზმში ტყვია, თუმცა ნიადაგი მაინც ყველაზე დიდი რაოდენობით შეიცავს. შესაძლებელია იყოს სათამაშოებშიც და, ბუნებრივია, საღებავებიდან შეიძლება მივიღოთ. ასევე შესაძლებელია სტამბაში მომუშავე ადამიანებმაც მიიღონ, ვისაც საღებავებთან აქვს შეხება, საბეჭდ მელანთან ურთიერთობა, რომელიც შეიძლება მეორადად გამოყენების შედეგად, როგორც ფხვნილი, ისე მოიფანტოს.

– სიმპტომები აქვს? როგორ შეიძლება მივხვდეთ, რომ სისხლში ტყვიის შემცველობაა?

– მივხვდებით იმის მიხედვით, თუ რომელი სისტემა დაგვიზიანდა. ყველაზე მეტად მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემასა და ცნობიერების შეცვლაზე, იწვევს კრუნჩხვებს და მოქმედებს სისხლზე. ანემიას იწვევს. ბუნებრივი ანემიის გამომწვევი მრავალი მიზეზი არსებობს და ერთ-ერთი სწორედ ტყვიის შემცველობაა.

– ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სისხლში ჭარბი რაოდენობით გვაქვს ხომ? მცირე რაოდენობის არსებობას ალბათ ვერც მივხვდებით.

– კი, მცირე რაოდენობაზე ვერ მივხვდებით. ამიტომ არის ნივთიერებები, რომელთანაც რთულად დასაშვები ნორმები არსებობს. ტყვია აღმოჩენილია საკვებშიც, როცა ამის შესწავლა მოხდა. ვერც დავაკონკრეტებ სად ზუსტად, მაგრამ როგორც ტოქსიკოლოგმა, ვიცი, რომ როცა მოდის ჩემთან პაციენტი, შემდეგ ეტაპზე, ჩივილების მიხედვით შემიძლია ვივარაუდო რა ჭირს. შემდეგ ვაგზავნით ტყვიის შემცველობის გამოკვლევაზე და, ბუნებრივია, ტყვიის შემცველობა თუ მომატებულია, შესაბამის კლინიკაში უნდა გავგზავნოთ. შეიძლება მომატებული იყოს ტყვიის შემცველობა, მაგრამ პრაქტიკულად ჯანმრთელი იყოს ადამიანი და არანაირად არ უქმნიდეს პრობლემას და საფრთხეს, მაგრამ არ არის სასურველი, რასაკვირველია. შესაბამისად, ამის შემდეგ უნდა შეაჯეროს ექიმმა, მკურნალობაა სასურველი თუ პროფილაქტიკური ზომები უნდა მივიღოთ.

– პრევენციისთვის რაიმეს გაკეთება შეიძლება?

– ჰიგიენის წესების დაცვა, ჯანსაღი კვება და ანემიის მოწესრიგებაა აუცილებელი. ასევე, მნიშვნელოვანია მინერალების მიღება და განსაკუთრებით რკინის შემცველობის დარეგულირება – თუთიის და კალციუმის, რაც ხელს უშლის, ასე ვთქვათ, ათვისებას ტყვიისას, მაგრამ ჩვენ გარშემო უამრავი ფაქტორია. გარედან შემოსული მტვერი, მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ არ მოვიტანოთ ოჯახში არც ჩვენ, არც ცხოველმა და სველი წესით უნდა მოხდეს ბინის დასუფთავება. ესეც ერთ-ერთი გამომწვევი ფაქტორია.

გიორგი გახარია პრემიერად მიდის

რას იტყვის საპატრიარქო

შორენა მარსაგიშვილი

ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში შინაგან საქმეთა მინისტრი არსად ჩანდა. დროებითი გაქრობა პარლამენტში მის გამოსვლას დაუკავშირეს, სადაც გიორგი გახარიამ რამდენიმე სერიოზული შეცდომა დაუშვა. თუმცა, ჩვენ რომ გაქრობა გვეგონა, ეს დროებითი უკანდახევა ყოფილა, რაც ე.წ. რაზგონის ასაღებად იყო საჭირო. გახარიამ, სავარაუდოდ, რაზგონი აიღო და გავრცელებული ინფორმაციით, ის მალე მთავრობის მეთაურად მოგვევლინება.

სუს-ში საკადრო ცვლილებები ოფიციალურად დადასტურდა. ახლა ჯერი მინისტრთა კაბინეტზეა. სახელისუფლებო კულუარებში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქვეყანას მალე ახალი მთავრობა ეყოლება.

„ქართული ოცნების“ კულუარებში უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ ახალი პრემიერი შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია გახდება. ამ უკანასკნელმა ბოლო დროს ივანიშვილის დიდი ნდობა და, შესაბამისად, მთავრობაში დიდი გავლენები მოიპოვა. როგორც სახელისუფლებო კულუარებში ამბობენ, გახარია თითქმის ყველა ძალოვან სტრუქტურას, მათ შორის პროკურატურას აკონტროლებს.

მეოცნებეთა განმარტებით, გახარია დღეს ბევრად მეტი უფლებებით სარგებლობს, ვიდრე პრემიერი. აქედან გამომდინარე გაპრემიერება შეიძლება მისი დაქვეითებაც კი იყოს.

გახარია პრემიერად თუ წავიდა, ეს იქნება მესამე შემთხვევა საქართველოს ისტორიაში, როცა მთავარი პოლიციელი პრემიერი გახდება.

ეს პრაქტიკა მიხეილ სააკაშვილმა დაამკვიდრა. 2012 წელს მან პრემიერის პოსტზე გადაიყვანა ქვეყნის ხერხემალი ვანო მერაბიშვილი. საქართველოში მაშინ პრეზიდენტის ინსტიტუტი იყო ძლიერი და მთავრობის მეთაურობა ბევრს არაფერს ნიშნავდა.

მაშინ ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ეს ვანო მერაბიშვილის დაქვეითება იყო. როგორც ამბობენ, ამის გამო სააკაშვილსა და მერაბიშვილს შორის ურთიერთობა დაიძაბა. ისინი დღემდე არ სწყალობენ ერთმანეთს.

მეორედ შს მინისტრი ივანიშვილმა გააპრემიერა. ირაკლი ღარიბაშვილს მთავრობის მეთაურობამდე შს მინისტრის პოსტი ეკავა.

მის შემთხვევაში ეს დაწინაურება იყო, რადგანაც ივანიშვილი მას ენდობოდა და თავისუფლად მოქმედების უფლებაც მისცა, მაგრამ ერთ დღესაც რაღაც არ მოეწონა და პრემიერი სახლში გაუშვა.

ღარიბაშვილის წასვლის შემდეგ საქართველოს ფაქტიურად უუფლებო პრემიერები ჰყავდა. ბიძინა ივანიშვილის გარეშე არც გიორგი კვირიკაშვილი იღებდა რამე გადაწყვეტილებას და არც მამუკა ბახტაძე ღებულობს.

გახარია მათგან განსხვავებით უფრო დამოუკიდებელი იქნება, მაგრამ არა ისეთი თავისუფალი, როგორც შს მინისტრობის დროს არის.

აქედან გამომდინარე მისთვის გაპრემიერება შესაძლოა დაქვეითება იყოს. ამის გარდა მას „ოცნებასთანაც“ შეექმნება პრობლემები. საპარლამენტო უმრავლესობაში მისით აღფრთოვანებული არ არიან. მას პარლამენტში თავისი გუნდი არ ჰყავს.

საპარლამენტო გუნდთან ყველაფერი რიგზე რომ ვერა აქვს, ეს პარლამენტში მისი გამოსვლის დროსაც გამოჩნდა. „ოცნების“ დეპუტატებმა მინისტრს ისეთი მწვავე კითხვები დაუსვეს, ოპოზიცია გაოგნებისგან პირს ვეღარ ხურავდა.

შს მინისტრის გაპრემიერება ივანიშვილსა და საპატრიარქოს შორის არსებულ დაპირისპირებას განაახლებს. ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა მღვდელმთავარმა, მეუფე იაკობმა განაცხადა, რომ გახარიას გაპრემიერებას არ დაუშვებს.

გახარიას გაპრემიერების შემთხვევაში, მოსაძებნი იქნება ახალი შს მინისტრი. ერთ-ერთი ვერსიით, ამ პოსტს კახა საბანაძე დაიკავებს, რომელსაც ახლა შს მინისტრის მოადგილის პოზიცია უკავია

დიდი ხანია მიდის საუბარი ლევან იზორიას შეცვლაზეც. გავრცელებული ინფორმაციით, სამხედრო უწყებას შავლეგო ტაბატაძე დაიკავებს, რომელსაც ამჟამად იმერეთის გუბერნატორის პოსტი უკავია. შესაბამისად იმერეთს ახალ გუბერნატორს გამოუნახავენ.

ახალი გუბერნატორები ეყოლებათ სხვა მხარეებსაც. კანდიდატებს გიორგი გახარია შეარჩევს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ცხინვალი ქართულ მიწებზე ახალ პრეტენზიებს აცხადებს

პარლამენტში შეიქმნა კომისია, რომელიც დაადგენს, როგორ აღმოჩნდა „ჭეშმარიტი ოსური მიწები“ საქართველოს შემადგენლობაში

შორენა მარსაგიშვილი

რუს ოკუპანტებს და მათ საყმოს ცხინვალში კიდევ ერთხელ მოუარა ქართული მიწების მიტაცების სურვილმა. ვნებააშლილმა ცხინვალელმა კანონმდებლებმა პარლამენტში სპეციალური კომისიაც კი შექმნეს, რომელმაც უნდა დაადგინოს, თუ როგორ აღმოჩნდა „ჭეშმარიტი ოსური მიწები“ ქართველების ხელში. ჭეშმარიტ ოსურ მიწებში დუშეთის და ყაზბეგის რაიონების ტერიტორიებიც მოხვდა.

დუშეთის თემთა კავშირის თავმჯდომარე გიორგი ლაფანაშვილს უჭირს ამ თემაზე სერიოზული კომენტარის გაკეთება, მაგრამ ოსების უკან რუსები დგანან და მიაჩნია, რომ მთლად სამხიარულოდაც არა გვაქვს საქმე.

რას უკავშირდება ოსების მორიგი ვნებათაღელვა, უნდა ველოდოთ თუ არა სიტუაციის გამწვავებას, რა დაუდგინა ოსებს დნმ-ს კვლევამ, როგორ მოექცა ქართული მიწები ოსების ხელში? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ გიორგი ლაფანაშვილი ესაუბრება.

– გიორგი, ცხინვალელი ოსები აქამდე ზეპირად ითხოვდნენ საქართველოსგან „ჭეშმარიტად ოსური მიწების“ დაბრუნებას. ახლა თავიანთ პარლამენტში 13 კაციანი კომისია შექმნეს, რომელმაც უნდა დაადგინოს, თუ როგორ ჩაიგდეს „ქართველმა ოკუპანტებმა“ ხელში მათი მიწები. მაგ შეჩვენებულებს რამე ხომ არა აქვთ ჩაფიქრებული?

– არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, პარლამენტში შექმნიან კომისიას თუ სადმე ბიბლიოთეკაში. აქ მნიშვნელოვანი ისაა, რომ ცხინვალის ხელისუფლება, რომელსაც რუსეთის დახმარებით ისედაც მიტაცებული აქვს ქართული მიწები, ჩვენს ტერიტორიებზე პერიოდულად აცხადებს პრეტენზიებს.

ახლა მიზანში მათ ყაზბეგის და დუშეთის ტერიტორიები აქვთ ამოღებული. ორივე მაღალმთიანი რეგიონია და ორივეგან დიდი თოვლია. აქედან გამომდინარე, რა დასკვნაც არ უნდა დადოს მათმა საპარლამენტო კომისიამ, ამ მიმართულებით აპრილის შუა რიცხვებამდე ვერ იმოქმედებენ.

ამ თემის გააქტიურება, ჩემი აზრით, უფრო სხვა რაღაცას უკავშირდება. ერთ-ერთი მიზეზი მათი გააქტიურებისა, საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარებაა. ცხინვალის ხელისუფლების გააქტიურების დინამიკას თუ დავუკვირდებით, მათი გააქტიურება ძირითადად მაშინ ხდება, როცა ჩვენთან პოლიტიკური ტემპერატურა მაღლა იწევს.

არ გამოვრიცხავ, რომ მოსკოვი საქართველოზე ზეწოლას ცდილობდეს და ცხინვალის ხელისუფლება ამიტომაც გააქტიურეს.

საბრძოლო მოქმედებების დაწყებას ცალსახად გამოვრიცხავ – რუსეთს დღეს ამის თავი არა აქვს. მას სერიოზული პრობლემები აქვს სირიის და უკრაინის მიმართულებით. არც დასავლეთის დაწესებული სანქციები არ უნდა დავიწყოთ. მოსკოვი ფინანსურად ძალიან დასუსტებულია და ახალი შეიარაღებული კონფლიქტის გაჩაღება არაფერში არ აწყობს. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ეს არის პოლიტიკური ზეწოლა და ჩვენს ნერვებზე თამაში.

არც იმას გამოვრიცხავ, რომ ქართული მიწების მითვისების საკითხი ეკონომიკურ ასპექტს უკავშირდებოდეს. ოსებიც და რუსებიც ხედავენ, თუ როგორ ვითარდება ზამთრის კურორტი გუდაური. აქ უამრავი ტურისტი ჩამოდის და, შესაბამისად, ბიუჯეტში ფული შედის. არასტაბილური ვითარება თუ იქნება, ტურისტების რიცხვი შემცირდება.

– სხვათა შორის, ოსი ისტორიკოსების და პოლიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ გუდაურიც ჭეშმარიტად ოსური მიწაა.

– გუდაური თრუსოსთან არის ახლოს და რატომ არ წამოაყენებდნენ ამაზე პრეტენზიებს. ოსების ნაწილი ბორჯომ-ბაკურიანს და მცხეთასაც კი თავისად მიიჩნევს.

გიორგი ლაფანაშვილი: „ეს თემა ოსებს რუსებთან სავაჭროდ სჭირდებათ“

– თქვენ ეკონომიკური ასპექტი ახსენეთ და შესაძლოა მართლაც აქეთ იყოს მიმართული ეს ამბავი. რუსები უკვე ღიად აპროტესტებენ იმ ფაქტს, რომ მათი თანამოქალაქეები ქართულ კურორტებზე დადიან და საქართველოში დიდ ფულს ტოვებენ. რუსებისთვის ყაზბეგი და გუდაური ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ადგილებია.

– ეს რუსებს ძალიან აბრაზებს. ერთ-ერთმა რუსმა ჟურნალისტმა ქართულ კურორტებზე რუსების სიარული ისე მწვავედ გააპროტესტა, რომ ლავროვიც კი გააღიზიანა. ლავროვმა, რომელიც ანტიქართული განწყობით გამოირჩევა, აგრესიულ ჟურნალისტს ასე უპასუხა – აბა რა ვქნათ, საქართველო ამოვახრჩოთო.

ამ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთთან დალაპარაკების რაღაც მექანიზმი უნდა გამონახოს. მე ოფიციალურ მოლაპარაკებების დაწყებას არ ვგულისხმობ, მაგრამ რაღაც დონეზე დიალოგი აუცილებელია.

არც იმას გამოვრიცხავ, რომ ცხინვალმა „მიტაცებული ოსური მიწების“ თემა მოსკოვისთვის თავის შესახსენებლად წამოსწია. შეიძლება ამით კრემლს ეუბნებიან, ჩვენ, თქვენი დასაყრდენი ძალა, აქ ვართ და დაგვაფინანსეთო.

– მოსკოვი ცხინვალს ისედაც ხომ აფინანსებს?

– აფინანსებს, მაგრამ ძველებურად არა. მოსკოვმა სოხუმსა და ცხინვალს დაფინანსება მკვეთრად შეუმცირა. აქედან გამომდინარე არ გამოვრიცხავ, რომ მიწების თემა რუსეთის ხელისუფლებასთან სავაჭროდ წამოწიეს. მათ პოლიტიკური გრანტის გაზრდა უნდათ.

თავად ეს თემა აბსოლუტურად თითიდან არის გამოწოვილი. პრეტენზიები წესით ჩვენ უნდა გვქონდეს ოსების მიმართ. მათ ჩვენი მიწები მარტო ქართლში კი არა, არამედ ჩრდილოეთის მიმართულებითაც აქვთ მიტაცებული.

ცოტა ხნის წინ გამოვიდა ისტორიკოს თოფჩიშვილის წიგნი. იქ ძალიან კარგად არის ეს თემატიკა აღწერილი. ამ წიგნიდან ჩანს, რომ არცთუ შორეულ წარსულში ქართველების და კონკრეტულად მოხევეების გავლენა ძალიან დიდი იყო ვლადიკავკაზსა და მის მიმდებარე სოფლებზე.

შესაბამისად დღევანდელი ხევის ტერიტორია შემცირებულია და ახლო წარსულში ის უფრო ფართოდ იყო გაშლილი და ღრმად იყო შეჭრილი დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე. ასე რომ, პრეტენზიები იქეთ გვაქვს წასაყენებელი.

– ისტორიულ ლაბირინთებში ჩაკარგულ ოსებს ეს ამბავი როგორ გამოეპარათ?

– გადასარევად იციან, რომ ეს ქართული მიწებია, მაგრამ ამაზე ხმას როგორ ამოიღებენ. სამაგიეროდ, ქართულ მიწებზე აცხადებენ პერიოდულად პრეტენზიებს. ადრე ვფიქრობდი, რომ რუსეთი ამ თემას ახალი კონფლიქტის დასაწყებად ააქტიურებდა. ახლა თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ოსებს ამ საკითხების წამოწევა რუსებთან სავაჭროდ უნდათ.

შესაძლოა ეს პრეტენზიები შიდა მოხმარებისთვისაც იყო განკუთვნილი. ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას თავისი ხელისუფლების მიმართ სერიოზული პრეტენზიები აქვს.

– რა პრეტენზიები აქვთ?

– მკვეთრად არის გაუარესებული კრიმინოგენური ვითარება. მძიმეა სოციალური ვითარება. ხალხში ცხინვალის ხელისუფლების რეიტინგი ნულს ქვემოთაა. ახლა ცდილობენ, რომ ხალხის ყურადღება სხვა თემაზე გადაიტანოს.

იმ ოსებს, ვინც ქართულ მიწებს ოსურად ასაღებს, ერთი ამბავი უნდა გავახსენოთ. გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, ჩრდილოეთ ოსეთის პოლიტიკურმა და კულტურულმა ინტელიგენციამ კრემლში წერილი გააგზავნა და ისინი საქართველოს შემადგენლობაში შესვლას ითხოვდნენ.

მოგეხსენებათ, რომ ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე არც ერთი ოსური სკოლა არ არის. არც ოსური თეატრია. ცხინვალის რეგიონში კი ქართველებმა ოსებს ოსური სკოლებიც გაუხსნეს და ოსური თეატრიც. ოსური ენა რომ შეინარჩუნეს, ეს ჩვენი, ქართველების დამსახურებაა.

თვალშისაცემია ის ფაქტიც, რომ ნამდვილ ოსებს ანუ ვლადიკავკაზში მცხოვრებლებს, აშკარად პროქართული პოზიცია უკავიათ.

ცხინვალის ხელისუფლებას რომ ჰკითხო, ქართველების დანახვა არ უნდათ, მაგრამ აბა ერთი კარგად ვნახოთ, სინამდვილეში რა ხდება. მათი მეორე ნახევრები თბილისში ჩამოდიან საშოპინგოდ.

ცხინვალელებს აქ უამრავი ნათესავი ჰყავთ და თბილისში გამართულ ჭირის თუ ლხინის სუფრებსაც არ აკლდებიან. დასასვენებლადაც ბათუმში ჩამოდიან. სამკურნალოდ თბილისში ჩამოსვლა ურჩევნიათ.

იცით რომელი ფულადი ერთეული დომინირებს ცხინვალის ეკონომიკურ ბაზარზე? ეს ქართული ლარია. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ოსებმა ძალიან კარგად იციან, რომ საქართველოს იქეთ გზა არა აქვთ, მაგრამ ჩრდილოელი ძია დათვის ნებას წინ ვერ აღუდგებიან.

– ისე რა უცნაურია, ოსები ჩვენ გვედავებიან ტერიტორიებს და ამ დროს თავად, შესაძლოა, ალანობა დაკარგონ. ინგუშებმა დაიწყეს ძალიან სერიოზული კამპანია, რომლითაც ამტკიცებენ, რომ ალანების ჩამომავლები ისინი არიან. ოსებისთვის ყველაზე დიდი სასჯელი ალანობის დაკარგვა იქნება.

– ალანია არ ყოფილა რომელიმე ერთი ეთნოსის საკუთრება. ალანია იყო სამეფო. ალანიის ჩამომავლობაზე პრეტენზიები სხვა ჩრდილოკავკასიელებსაც აქვთ. ამ თემაზე დავა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს დაიწყო, მაგრამ მაშინ სტალინმა გააჩერა ეს საკითხი.

– ოსებს ალანობა მაშინ ფაქტიურად სტალინმა შეუნარჩუნა.

– ალანიის სამთავროს ისტორია სერიოზულად არის შესასწავლი, მაგრამ ერთი რამ ნათელია – აქ ჩრდილოკავკასიელები ცხოვრობდნენ. ინგუშები და ჩეჩნები ძირძველი კავკასიური ეთნოსია. ასე რომ, ვაინახები უფრო არიან ალანიის მემკვიდრეები, ვიდრე ოსები. ყველამ იცის, რომ ისინი ამ ტერიტორიაზე მოსულები არიან.

ცოტა ხნის წინ ძალიან საინტერესო ინფორმაცია წავიკითხე ოსურ საიტებზე. მათ ჩაიტარეს გენეტიკური კვლევა და ოსების დიდი ნაწილი ქართველური წარმოშობის აღმოჩნდა. ამით დამთავრდა ზღაპარი იმისა, რომ ისინი არიან ცალკე გამოყოფილი ერი.

– მერე როგორ გადაიტანეს ეს ამბავი?

– ინფორმაცია გენეტიკური კვლევის შესახებ სასწრაფოდ გააქრეს. აშკარად არ მოეწონათ, მაგრამ რეალობას ვერსად წაუვლენ.

სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დვალები მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ. დვალები იყვნენ ქართველები, მოხდა მათი შერევა ოსებთან და რა გასაკვირია, რომ ოსების დიდი ნაწილი ქართველური წარმოშობისაა.

ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები ოსების დიდი ნაწილი გარეგნულად ძალიან წააგავს ქართველებს. მათ ადათ-წესები და ხასიათიც ჩვენი აქვთ. ეს მაფიქრებინებს, რომ ისინი დვალები არიან.

რაც უფრო მალე გაითავისებენ ოსები თავიანთი მდგომარეობის ტრაგიკომიკურობას, მით უფრო იოლად დაძლევენ მათ წინაშე არსებულ ეთნოპრობლემებს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გახდებიან ისტორიის კუთვნილება და გადაშენებული ერების რიგებს შეუერთდებიან. ამის მაგალითები ჩრდილოეთ კავკასიაშიც მრავლად არის. მარტო დაღესტანია საკმარისი. კავკასიაში რუსეთის შემოსვლის შემდეგ დაღესტანში შემავალი რამდენიმე ეთნოსი გაქრა. მათგან მკვდარი ენები შემოგვრჩა მხოლოდ. ოსები თუ ასე გააგრძელებენ, ისინიც მათ ბედს გაიზიარებენ.

კახა კალაძე: „კორუფციის ნიშნების შემჩნევის შემთხვევაში უკან არ დავიხევთ!“

თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე მიმართა თავის მოადგილეებს, საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელებს, გამგებლებს, რომ თანამშრომლები გააფრთხილონ, რადგან კორუფციის ნიშნების შემჩნევის შემთხვევაში თბილისის მერია უკან არ დაიხევს.

კახა კალაძის თქმით, კორუფციის ნიშნების შემჩნევის შემთხვევაში თბილისის მერია უმკაცრეს ზომებს მიიღებს.

– მინდა ჩემს მოადგილეებს, საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელებს, გამგებლებს მივმართო – მაქსიმალური ყურადღება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამაზე წლის დასაწყისშიც ვისაუბრეთ და ახლაც მინდა, კიდევ ერთხელ მოგიწოდოთ, რომ თქვენს სამსახურებში ყველა გააფრთხილოთ, არანაირი უკან დახევა არ იქნება, თუ იქნება შემჩნეული რაიმე კორუფციის ნიშნები. ვიქნებით უმკაცრესები.

ამიტომ, ჩემი თხოვნაა, მაქსიმალური ყურადღება, სიფრთხილე გამოვიჩინოთ და ყურადღებით ვაკეთოთ ის საქმე, რასაც ჰქვია თბილისის მოსახლეობის კეთილდღეობა და ის მნიშვნელოვანი პროექტები, რომელიც უნდა წარვუდგინოთ მოსახლეობას. თუ ვინმეს რამე პრობლემა გააჩნია, მზად ვართ, დავეხმაროთ, ხელი შევუწყოთ, გვერდში დავუდგეთ, მაგრამ არა კორუფციისა და გადაცდომის სახით. ეს კატეგორიულად მიუღებელია და ვიქნებით ძალიან მკაცრები, – განაცხადა კახა კალაძემ.

მედიანიუსი

ზვიად ძიძიგური უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებაზე: „ჩვენი პრაგმატული ინტერესი არ უნდა შევწიროთ წუთიერი ემოციების გამოხატვას“

– პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან სასიხარულოა უკრაინის წარმატება ყველა მიმართულებით და ამას მივესალმებით, მაგრამ ჩვენ, ქართველ პოლიტიკოსებს, ზურგს უკან არ უნდა დაგვრჩეს ჩვენი საკუთარი ქვეყნის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, ზვიად ძიძიგურმა განაცხადა.

მისი თქმით, არსებობს დიდი ალბათობა და მაღალი საშიშროება, რომ საქართველოს მხრიდან უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების შემთხვევაში, გაბრაზებული რუსეთი აღიარებს სოხუმისა და ცხინვალის ეკლესიების დამოუკიდებლობას, რაც ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისათვის კიდევ ერთი სერიოზული დარტყმა იქნება.

მედიანიუსი

გიორგი ბარკალაია „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ მარკეტინგის დირექტორი გახდა

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ გუნდს გიორგი ბარკალაია შეუერთდა.

ამის შესახებ ინფორმაციას კონსორციუმი ავრცელებს.

– ანაკლიის პორტის მშენებელი კომპანიის გუნდი იზრდება და მას ახალი, წარმატებული ადამიანები ემატებიან.

რამდენიმე დღის წინ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ მარკეტინგის დირექტორის თანამდებობაზე გიორგი ბარკალაია დაინიშნა.

გიორგი ბარკალაია სხვადასხვა დროს მუშაობდა ისეთ კომპანიებში, როგორებიც არის ტელეკომპანია „იმედი“, „ვითიბი ბანკი“, „საქართველოს ეროვნული ლატარია“, „საქართველოს ბანკი“, „არტი ჯგუფი“, ვისოლ პეტროლიუმი“ და სხვა. ის არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტის ავტორია და მისი საქმიანობა ყველა ამ კომპანიაში სხვადასხვა წარმატებულ პერიოდს უკავშირდება. გიორგი ბარკალაია კავკასიის უნივერსიტეტის სრული პროფესორია და მან განათლება საქართველოსა და აშშ-ის უნივერსიტეტებში მიიღო, – ნათქვამია გავრცელებულ პრესრელიზში.

ბმ.გე

„ბესელია ჭკვიანია და ივანიშვილს არ დაარტყამს“

პაატა ზაქარეიშვილი: „ოცნებიდან“ წამოსვლა არავის უნდა, ყველას მანდ უნდა პოზიციების გამყარება“

ნონა ცაბაძე

კონფლიქტოლოგი, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ყოფილი მინისტრი, პაატა ზაქარეიშვილი „ახალ თაობასთან“ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო პაატა, თქვენ ამ გუნდის წევრი იყავით წლების განმავლობაში და ყველაზე უკეთ ხედავთ იმ პროცესს, რაც შიგნით ხდება. რა ხდება რეალურად?

– მე მომწონს, რაც ხდება. ანუ პოლიტიკა დაბრუნდა საქართველოში. ორი წელი არ იყო პოლიტიკა, მას შემდეგ, რაც დაიშალა კოალიცია და „ქართულმა ოცნებამ“ თქვა, რა იოლი ყოფილა სახელმწიფოს მართვა, სხვები რაში გვჭირდებაო და ამიტომ 2016 წლის არჩევნებზე წავიდნენ ცალკე. შემდეგ კი მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო – სტაგნაცია და უკვე შიგნით დაიწყო პროცესები.

– რა პროცესები?

– ადრე კონკურენცია არსებობდა კოალიციაში და პარტიები, რომლებიც არ იყვნენ პირდაპირ ვალდებულები ბიძინა ივანიშვილის წინაშე, თამამად აკრიტიკებდნენ, ოღონდ ეს ყველაფერი შიგნით ხდებოდა, გარეთ არ გამოდიოდა.

როცა კოალიცია დაიშალა, პარტიის შიგნით ყველა პირში და ხელებში შესაციცინებდა ივანიშვილს, ამიტომ ხმას არავინ იღებდა, არც კონკურენცია იყო. მერე დაიწყო ფრაქციებად დაშლა, შიდა დუღილი, იმის ჯგუფი, ამის ჯგუფი, რაც იგრძნო ივანიშვილმაც და იძულებული გახდა, დაბრუნებულიყო. მიხვდა, რომ ასე არ გამოვიდოდა, ის კი არა, ვერც ერთ ჯგუფს ვერ მისცა უფლება, თავისი კანდიდატი წამოეყენებინა პრეზიდენტად და გარედან მოიყვანა.

შიდა დუღილმა აიძულა ივანიშვილი, დაბრუნებოდა პოლიტიკას. ოღონდ ის დაბრუნდა მხოლოდ პარტიაში და არა – მთლიანად საქართველოში. საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შედეგები იყო რეალური, რაც შემაშფოთებელი იყო „ქართული ოცნებისთვის“.

– მეორე ტური არ იყო რეალური?

– არა, მეორე ტური იყო მართლაც მობილიზაციისა და ფულის გადახდის და კარუსელის შედეგი. ანუ სულ სხვა რეალობამ განსაზღვრა მეორე ტური. პირველი ტური იყო რეალური და სუფთა შედეგი.

შემდეგ იყო ინაუგურაცია, ახალი წელი და ცხადი იყო, რომ როგორც კი ეს სადღესასწაულო განწყობა ჩაივლიდა, პირველი ტურის შედეგები აუცილებლად გასკდებოდა უკვე შიგნით, „ქართულ ოცნებაში“. ეს ლოგიკურიც იყო. როგორც ავადმყოფობას თუ დროზე არ უწამლე, რთულდება, ისე მოხდა აქაც.

– ზედაპირზე წამოვიდა და საზოგადოებამაც დაინახა ეს სენი?

– დიახ, ყველაფერი ჩანს, ყველაფერი ცალსახაა. მთავარი პრობლემა ის არის, რომ ძალიან ჭკვიანი ოპონენტები ჰყავთ ნაციონალური მოძრაობის სახით. იქ მართლა პოლიტიკოსები არიან, განსხვავებით „ოცნებისგან“. ისინი ამას უყურებენ, ყველაფერს იწერენ, იმახსოვრებენ და ემზადებიან საპარლამენტო არჩევნებისთვის.

დამთავრდა მეორე ტური და ვნახეთ, რომ არც არაფერი აურიეს და დაურიეს. კარგად ხედავენ, როგორ ინადგურებს ხელისუფლება თავს. ჩასაფრებულები არიან, როდის დაუდონ ფეხი.

დღეს „ოცნებას“ დამოუკიდებელი ხალხი აკლია, მხოლოდ კარიერისტები და ფარისევლები შემორჩათ გარშემო. არაფერი აინტერესებთ იმის გარდა, სიაში მოხვდებიან თუ არა და დარჩებიან თუ არა პარლამენტში.

– ბესელიას აჯანყებას რას უკავშირებთ. ის მხოლოდ პირადი ინტერესებისთვის მოქმედებს?

– ბესელიამ ძალიან კარგად დააფიქსირა, რაც ხდება. თითო-ოროლა პოლიტიკოსია შემორჩენილი „ოცნებაში“ და ერთ-ერთია ბესელია.

მას დიდი გამოცდილება აქვს. შევარდნაძის დროიდან მოყოლებული, მე მას ვხედავ, შეიძლება ბევრ რამეში არ მომწონდეს, მაგრამ ვხედავდი, როგორ იზრდებოდა და წინ მიდიოდა. როდესაც მან იგრძნო შიგნიდან, რომ მისი წასვლის დრო მოვიდა, ახლები შემოვიდნენ და ძველი გვარდიის წასვლის დრო მოვიდა, კარგად ჩაიფიქრა, კარგად ჩაუსაფრდა, მოსამართლეების თემა კარგად აითვისა.

– აქამდე სად იყო ბესელია?

– პოლიტიკა არის ის, რაც კეთდება კონკრეტულად, ძალიან სასაცილოა ახლა ეს შეფასებები, რომ ადრე რატომ არ დაუპირისპირდა ბესელია, ან აქამდე სად იყო. გააკეთა მაშინ, როცა მას დაჭირდა, როცა ამის საჭიროება დაინახა.

– ეს რამდენად სწორი მიდგომაა?

– პოლიტიკა ასეა. საზოგადოებრივ ინტერესს პლუს პოლიტიკოსის ინტერესი. ამის გარეშე არ არსებობს პოლიტიკა. ადამიანი თავის ინტერესებს დებს პოლიტიკაში. იულიუს კეისრიდან მოყოლებული ასეა. წარმოგიდგენიათ ექიმი, რომელსაც ფულს არ უხდის არასდროს არავინ? აღარ იქნება ის ექიმი, მიატოვებს ამ საქმეს.

ასეა აქაც. ბესელიამ დაინახა, რომ მას ამ სიტუაციაში უკვე ვეღარ ხედავენ. ამიტომ ჩაუსაფრდა და ეს თემა სათავისოდ კარგად გამოიყენა.

– ხედავთ მას ოპოზიციაში?

– ჯერ ვერ ვხედავ, იმიტომ, რომ ის ძალიან ჭკვიანია. ვიღაცები ელოდნენ ორშაბათს სეირის მაყურებლის როლში, ივანიშვილს დაარტყამსო. მე ვიცოდი, რომ ასე არ იზამდა, იმიტომ, რომ ის ჭკვიანია და იცის, რომ თუ ასე მოიქცევა, დაისამარებს თავს.

დღეს „ქართულ ოცნებაში“ არავის სჭირდება, რომ დაარტყას ივანიშვილს. ყველა მის გარშემო ტრიალებს, რიტუალურ ცეკვებს ასრულებს, ოღონდ კი მისი კეთილგანწყობა მოიპოვოს. ცხადია, რომ ივანიშვილს განსაკუთრებით არავინ უყვარს, არ ჰყავს ფავორიტები და თუ საჭირო გახდა, ნებისმიერ მათგანს მოისვრის.

ივანიშვილი პოლიტიკოსი არ არის, არ იცის ეს საქმე და მას გარშემო სჭირდება კარგი პოლიტიკოსები. წესით, ბესელიაც უნდა სჭირდებოდეს და მისნაირი ხალხი.

რაღაც უაზრო გუნდურობაზე მიდის საუბარი, აქ გუნდურობა არაფერ შუაშია, აქ საუბარია კლანურობაზე. გუნდურობა სულ სხვა რამეა, ეს თანასწორობაა, ყველას თავისი აზრის გამოთქმის საშუალება აქვს. ამას ხედავთ ამ გუნდში?!

– კლანთან გვაქვს საქმე?

– გუნდურობისგან შორს არიან. დიახ, აქ არის კლანური მმართველობა და არაფერ გუნდურობას იქ ადგილი არა აქვს.

– ანუ ბესელია დაუპირისპირდა საკუთარ გუნდს, ოღონდ ის არ წავა „ოცნებიდან“?

– შევასწოროთ, ბესელია დაუპირისპირდა კლანს, რათა შეენარჩუნებინა გუნდურობის პრინციპი, მე ასე ვიტყოდი. ბესელიას სურვილია, პირველ რიგში, პოლიტიკურად გადაარჩინოს თავი და თავისი გუნდი.

მას ჰყავს გუნდი, მარტო არ არის. მე მომწონს ეს, რომ ის ფიქრობს სხვებზეც და არა – მხოლოდ თავის თავზე, გუნდურობა ეს არის. ამიტომ თქვენი კითხვა, ვხედავ თუ არა ბესელიას ოპოზიციაში, გამორიცხული არ არის, მაგრამ ეს არ არის მისი მთავარი ამოცანა.

– რა არის ბესელიას მთავარი ამოცანა?

– მისი მთავარი ამოცანაა, აჩვენოს ივანიშვილს მისი ზურგი. მისთვის ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვები. ბესელიამ პოლიტიკურად კარგი მოხვევა გააკეთა, კარგად წარმოაჩინა

საკუთარი თავი.

დღეს ნებისმიერი კრიტიკა მის წინააღმდეგ მხოლოდ აძლიერებს მას, როგორც პოლიტიკოსს. ვინც რა უნდა თქვას და გააკეთოს დღეს სასამართლო სისტემის სასარგებლოდ, კარგი გაგებით დაბრალდება ეკა ბესელიას. იტყვიან, რომ მან წამოიწყო ეს ბრძოლა. ამიტომ დღეს მისი ლანძღვა ძალიან უადგილოა და სასაცილოც კი.

– 2020 წელი ახლოვდება, სიტუაცია კიდევ უფრო იძაბება პოლიტიკურ ველზე, სცენარის როგორ განვითარებას ხედავთ?

– ვხედავთ, რომ ყველა თავისას ცდილობს. მაგალითად, კალაძემ უკვე დაიწყო თავის წინასაარჩევნო კამპანია. სამტრედიაში, სადაც კენჭს იყრიდა ოდესღაც, სამტრედიელ ოჯახს ბინა აჩუქა. ვულოცავ ამ ოჯახს, მაგრამ ეს აშკარად წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია.

– კალაძე ცალკე თამაშს თამაშობს?

– არავინ არ თამაშობს ცალკე. ყველა თამაშობს თავის თამაშს „ქართულ ოცნებაში“. ყველას უნდა, რომ კარგი პოზიციები „ოცნებაში“ მოიპოვოს, იქიდან კი არ წამოვიდეს! შიგნით გაძლიერდეს და გაიმყაროს პოზიციები.

კალაძის გააქტიურებას შევაფასებ, როგორც წინასაარჩევნო კამპანიას და ეს ბუნებრივია. 2020 წლამდე ცოტა დროა და საინტერესო პროცესებს უნდა ველოდოთ. იმდენად ნაკლები დროა, რომ ვადამდელ არჩევნებზე საუბარს აზრი არ აქვს.

ოპოზიცია უნდა ეცადოს, რომ როგორმე პროპორციულ არჩევნებზე გადაიყვანოს საარჩევნო სისტემა. ეს იქნება უდიდესი წარმატება. „ქართულ ოცნებასაც“ უნდა ესმოდეს, რომ ეს მისთვისაც ყველაზე კარგი ვარიანტია. ჭკუა რომ ჰქონდეს, თავადვე უნდა შესთავაზოს ქართველ საზოგადოებას პროპორციული სისტემა – ამით ქულებსაც დაიწერს და ხმებსაც მოიგებს.

სუსმა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე ერთი პირი პასუხისგებაში მისცა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს გურიის გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების განყოფილების ყოფილი უფროსი გურამ ა. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 2018 წლის იანვარში, გურიის გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების განყოფილების უფროსის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში, გურამ ა-მ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით არ განახორციელა კანონით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული მოვალეობები. კერძოდ, მან უკანონო ქმედებებში არ ამხილა ორი კომპანიის წარმომადგენლები, რომლებიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე ნატანების კალაპოტში მუშაობდნენ და საშუალება მისცა აღნიშნულ კომპანიებს მოეხდინათ დიდი ოდენობით ინერტული მასალის – ქვიშა-ღორღის ლიცენზიის გარეშე მოპოვება, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია.

ამავე საქმეზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, 2018 წლის მარტსა და ივლისში, გურიის გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების განყოფილების 5 თანამშრომელი დააკავეს, ხოლო 3 თანამშრომელი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

გამოძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით).

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოებს სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

„რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ სახელმწიფოს თავისუფალი ფული სჭირდება და არა რეალური საპენსიო რეფორმა“

– რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ სახელმწიფოს თავისუფალი ფული სჭირდება და არა რეალური საპენსიო რეფორმა, – ასე აფასებს 2019 წლის 1 იანვარს ამოქმედებულ დაგროვებით საპენსიო რეფორმას „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის (GDI)ხელმძღვანელი გიორგი მშვენიერაძე.

მისი შეფასებით, მოქალაქეთა იძულებით კაპიტალის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა სცდება სახელმწიფოს უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთან სახელმწიფო მოქალაქეებს ავალდებულებს საკუთარი ქონება დიდი აღბათობით რისკიან კაპიტალდაბანდებად აქციონ და საპასუხოდ მოქალაქეების ქონების დაკარგვის რისკის დაზღვევის და ზიანის ანაზღაურების რაიმე ბერკეტს არ სთავაზობს. საპენსიო ფონდში დაგროვილი თანხის დაკარგვის შემთხვევაში მოქალაქეები ზიანის ანაზღაურებას ვერ შეძლებენ.

როგორც ცნობილია, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ (GDI) საპენსიო სისტემაში მოქალაქეების იძულებით ჩართვის გაუქმებისა და საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე მისი მოქმედების შეჩერების მოთხოვნით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართა. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი გიორგი მშვენიერაძე „კომერსანტთან“ აცხადებს, სასამართლო საკითხს გონივრულ ვადაში, სავარაუდოდ, 2 თვეში განიხილავს.

მისი განმარტებით, დაგროვებით საპენსიო სისტემაში სავალდებულოდ ჩართვა და საპენსიო ფონდში სავალდებულო შენატანის დაწესება გაუმართლებლად ზღუდავს დასაქმებულის საკუთრების უფლებას, ხოლო დამსაქმებლისთვის საკუთრების ჩამორთმევას უტოლდება.

შეგახსენებთ, სსიპ საპენსიო სააგენტო დაგროვებითი საპენსიო სისტემის რეფორმის ფარგლებში სსიპ რამდენიმე თვის წინ შეიქმნა და მის დირექტორად 2018 წლის სექტემბერში ლევან სურგულაძე დაინიშნა. საპენსიო სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭომ ლევან სურგულაძე სააგენტოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე, კანონის თანახმად, კონკურსის წესით შეარჩია.

2019 წლის პირველი იანვრიდან ქვეყანაში სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემის ამოქმედებას ეწინააღმდეგება „ევროპული საქართველოს“ ლიდერი ზურაბ ჭიაბერაშვილიც. მისი განმარტებით, „ქართული ოცნების“ მიერ შემოღებული დაგროვებითი საპენსიო სისტემა შეიცავს 40 წლამდე ასაკის მოსახლეობაში უმუშევრობის გაზრდის რისკს და კიდევ უფრო შეანელებს ხელფასების მატების ტემპს.

კომერსანტი

ნოდარ ხარშილაძე: „ამერიკა ნატოს არასდროს დატოვებს“

ირაკლი მენაღარიშვილი: „პუტინის განცხადება დასავლეთის წინააღმდეგ კიდევ ერთი გალაშქრებაა“

იავო ნაცვლიშვილი

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ნატოს გაფართოების პოლიტიკას ცივი ომის პერიოდის გადმონაშთად აფასებს, რაც, მისი თქმით, მცდარი და დესტრუქციული სტრატეგიაა. პუტინი ბალკანეთის კონტექსტშიც საუბრობს და ამბობს, რომ ნატო ბალკანეთში თავისი ყოფნის გაძლიერებას ცდილობს.

„ამგვარად ისინი უბრალოდ გამყოფ ხაზებს ქმნიან ევროპულ კონტინენტზე და უხეშად არღვევენ უსაფრთხოების განუყოფლობის პრინციპს. ყველაფერი ეს კი, საბოლოო ჯამში, არა სტაბილურობის განმტკიცებას, არამედ ევროპაში დაძაბულობის ზრდას იწვევს“ – განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

ამის პარალელურად გავლენიანი ამერიკული გამოცემა „ნიუ იორკ თაიმსი“ შემაშფოთებელ ინფორმაციას ავრცელებს. სტატიის მიხედვით, აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, შესაძლოა, ქვეყნის ნატოდან გასვლის საკითხს დაუბრუნდეს, თუ ალიანსის წევრები სამხედრო დანახარჯებს არ გაზრდიან. გამოცემა სტატიას პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არსებული წყაროზე დაყრდნობით წერს.

ნიშნავს თუ არა პუტინის განცხადება დასავლეთის მიმართ შანტაჟს და რამდენად რეალობასთან ახლოსაა „ნიუ იორკ თაიმსის“ ინფორმაცია, ამის თაობაზე „ახალი თაობა“ სპეციალისტებს ესაუბრა:

საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი **ირაკლი მენაღარიშვილი** ამბობს, რომ რუსეთი ცდილობს დასავლეთი დააშანტაჟოს, რაც აქამდეც არაერთხელ გაუკეთებია. მისი თქმით, ნატოში რთული პროცესებია, თუმცა იმედოვნებს, რომ ეს აშშ-ის გასვლით არ დასრულდება, რადგან ეს რეალურად ნატოს დაშლას ნიშნავს.

– პუტინმა თქვა, რომ ნატოს გაფართოების პოლიტიკა ცივი ომის გადმონაშთიაო და ამ კონტექსტში მიმოიხილა ბალკანეთის საკითხებიც. ხომ არ არის ეს შანტაჟის მცდელობა დასავლეთის მიმართ?

– რა თქმა უნდა, არის. წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით, ტერმინი „შანტაჟი“ რამდენად შეიძლება გამოვიყენოთ არ ვიცი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს დასავლეთის წინააღმდეგ კიდევ ერთი გალაშქრებაა და ეს არის რუსეთის პროპაგანდის სტანდარტული კლიშე, რომელსაც სულ უფრო და უფრო აქტიურად ახმოვანებს როგორც რუსეთის პრეზიდენტი, ისე მისი საგარეო პოლიტიკური გუნდი. უპირველეს ყოვლისა, საგარეო საქმეთა სამინისტრო. კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ ეს ძველი სიმღერაა და სრულიად საფუძველს მოკლებული.

– უნდა გასცეს თუ არა დასავლეთმა ამას პასუხი?

– დასავლეთს არაერთხელ უპასუხია ამ ინსინუაციისთვის. ამ შემთხვევაშიც შეიძლება ასეთი პასუხი იყოს, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ რომელიმე პასუხმა ბატონ პუტინს პოზიცია შეაცვლევინოს.

უნდა შეგახსენოთ, რომ ეს პოზიცია მისი პოლიტიკის ერთ-ერთი ფუნდამენტური თეზისი გახლავთ, არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკის, არამედ საშინაო პოლიტიკისაც. მხედველობაში მაქვს დასავლეთის მიმართულება, კერძოდ კი, ნატო. რუსეთი ნატოსთან დაპირისპირებაზე აფუძნებს თავის პოლიტიკას. ეს არის მარტივი, პრიმიტიული და საშიში სტრატეგია ძალაუფლების შენარჩუნებისა, რაც მისი არჩევანია.

– მას ამჯერად საქართველო არ უხსენებია, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ განცხადებაში ჩვენი რეგიონიც იგულისხმებოდა?

– რა თქმა უნდა. როდესაც გაფართოებაზე ვსაუბრობთ, ნათელია საით მიდის გაფართოების ეს ვექტორი. თუმცა, უახლოესი გადაწყვეტილება და საკითხის გამწვავების ეს აქტი შეეხება ბალკანეთს და კერძოდ, მაკედონიის საკითხის გადაწყვეტას. იცით, რომ მაკედონიის სახელი მისი ნატოში გაწევრიანების ერთადერთი შემაფერხებელი ფაქტორი გახლდათ, რაც პრაქტიკულად მოიხსნა დღის წესრიგიდან. ალბათ გადაწყვეტილება იქნება უახლოეს პერიოდში. რუსეთი რის რუსეთი იქნებოდა, ამაზე რეაქცია რომ არ ჰქონოდა.

– „ნიუ იორკ თაიმისის“ სტატიაში საუბარი იყო, რომ ტრამპი აშშ-ის ნატოდან გასვლით იმუქრება. რამდენად რეალური საფრთხე გგონიათ?

– ინფორმაცია შემაშფოთებელია, მაგრამ იმავე მასალაში ჩანს, რომ დემოკრატიული ბალანსების ინსტიტუტებმა ჯერჯერობით მოახერხეს ის, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგება, როდესაც დასავლეთის ამ ლიდერი სახელმწიფოს პირველი პირი ასეთ მოსაზრებებს გამოთქვამს, ეს, რა თქმა უნდა, უსიამოვნო განცდებს წარმოშობს. მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ აშშ, ეს არც მარტო პრეზიდენტია, არც სხვა რომელიმე ძალაუფლების ცენტრი. ძალაუფლების შტოების ძალიან ეფექტური ბალანსის ნიმუში გახლავთ და ალბათ სრულიად მიუღებელი გადაწყვეტილების რეალიზაციას არ დაუშვებს.

– რაც შეეხება დანახარჯების თემას, რაზეც მიმდინარეობს კამათი, ხომ არ შეიძლება ნატოსთვის სირთულეების შემქმნელი გახდეს?

– ამ თემის დასმა ბატონი ტრამპის მხრიდან და ძალიან გამწვავება სრულიად ლოგიკური და გასაგებია. მარტო ხარჯებზე არ არის საუბარი. რეალურად თემა ამის გამო ტრიალებს. საქმე ის გახლავთ, რომ ცივი ომის დასრულებიდან, 90-იანი წლებიდან ამერიკის გამოკლებით, ამ თემამ ცოტა მიიძინა და მოდუნდა იმ საფრთხეების წინაშე, რომელიც აღმოსავლეთიდან შეიძლებოდა ყოფილიყო. ჩათვალეს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ის პროცესი, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეში მიდის, გამორიცხავს კონფრონტაციას საბჭოთა კავშირის მემკვიდრე რუსეთთან. ყოველ შემთხვევაში იმ ძალასთან, რომელიც აღმოსავლეთში დარჩა და აღორძინება დაიწყო. ეს დასკვნა რომ მცდარი აღმოჩნდა, კარგად გამოჩნდა 2008 და 2014 წლებში.

ის, რომ დღეს დასავლეთს უწევს სასწრაფოდ რესურსების მობილიზაცია იმისათვის, რომ შექმნას საკმაოდ ეფექტური ბარიერი რუსეთის შემდგომი აგრესიული მოქმედებების აღსაკვეთად, უკვე ნიშნავს, რომ ეს ყველაფერი თავის დროზე კარგად გათვლილი არ იყო. ამიტომ საკითხის გამწვავება იმის შესახებ, რომ საჭიროა დროულად დასავლეთმა და მისმა წამყვანმა ინსტიტუტმა ნატომ რესურსების მობილიზაციის საკითხი ეფექტურად მოაგვაროს, სრულიად გასაგები და მისაღებია. მაგრამ, აქ ხომ საუბარი ამაზე არ არის?! როგორც ეს სტატია იუწყება (არ მაქვს საფუძველი, რომ ამ ინფორმაციას არ დავუჯერო), ამ საკითხების განხილვისას გამოითქვა სკეფსისი პრეზიდენტ ტრამპის მიერ თვითონ ნატოს საჭიროების შესახებ. ეს უკვე მეორე უზარმაზარი შეცდომის ფაქტთან გვაქვს საქმე.

ნატო არ გახლავთ ცივი ომის პროდუქტი და მხოლოდ აღმოსავლეთის ბლოკის განეიტრალებისთვის შექმნილი სტრუქტურა. მას ფუნქცია არ დაუკარგავს ცივი ომის დასრულების შემდეგ. ის გახლავთ დასავლური ცივილიზაციის, ძალთა მობილიზაციის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ინსტრუმენტი, რომელიც კი ისტორიას შეუქმნია. ამიტომ, მისი დაშლა, უარყოფა ბევრად ადვილია. კრიზისის შემთხვევაში მისი აღორძინება ბევრად ძნელი და რთული იქნება. ამიტომ მასზე უარის თქმა და აშშ-ის გამოსვლა ნატოდან და ტრანსატლანტიკური ამ ღერძის გაქრობა, პრაქტიკულად ნატოს პოლიტიკური სცენიდან გაქრობას ნიშნავს. ეს იქნებოდა დამანგრეველი ისედაც რთულ პირობებში არსებული მსოფლიო წესრიგისათვის.

სტრატეგიისა და საერთაშორისო კვლევების ანალიტიკოსი **ნოდარ ხარშილაძისთვის** პუტინის განცხადება გასაკვირი არ არის. ამერიკის ნატოდან გასვლა კი წარმოუდგენელი ჰგონია:

– რას ნიშნავს პუტინის განცხადება ნატოსთან დაკავშირებით, რომ ალიანსის გაფართოების პოლიტიკა ცივი ომის გადმონაშთია და როცა ამ კონტექსტში ბალკანეთზეც საუბრობს?

– ამაზე დიდი ხანია ლაპარაკობს რუსეთი, დაახლოებით 15 წელია. იძახის, რომ ნატო საერთოდ არ უნდა გაფართოვდეს. განსაკუთრებით იქ, სადაც მისი ინტერესები იყო. ეს ეხებოდა ბალკანეთსაც, ეს ეხებოდა ბალტიისპირეთსაც და ეს ეხებოდა ჩვენს რეგიონსაც.

რუსეთი დასავლეთთან ისედაც ცივი ომის რეჟიმშია. სანქციები ადევს და საფრთხედ აქვს ეს პოლიტიკა გამოცხადებული. ამიტომ ამაში გასაკვირს ვერაფერს ვხედავ.

– ხომ არ იგულისხმებოდა ამ განცხადებაში საქართველოც?

– არა მგონია ამ ეტაპზე საქართველო ეგულისხმა, რადგან რუსეთი ამ ეტაპზე თვლიდა, რომ საქართველოს თემა მოგვარებულია და ჩვენი გაწევრიანება შეუძლებელია. ასე რომ, მისი საანერვიულო თემა ამ ეტაპზე ბალკანეთია. ამის შემდეგ არის უკვე ისეთი ქვეყნები, როგორიც საქართველო და უკრაინაა. თუმცა, ეს განცხადება აღმოჩენა არ ყოფილა. 15 განცხადება აქვს ასეთი გაკეთებული.

– ამის მიუხედავად, ეს დასავლეთის მიმართ ერთგვარ შანტაჟად ხომ არ უნდა აღვიქვათ?

– ამას დიდი ხანია აკეთებს. შანტაჟი არ არის, უფრო დაშინებაა. თუმცა, მგონია, რომ ეს კითხვა რელევანტური 7-8 წლის წინ შეიძლებოდა ყოფილიყო. მაშინ, როცა რუსეთს პარტნიორად თვლიდნენ. დღეს, როცა ღიად გამოცხადებულია, რომ პუტინი საერთაშორისო თანამეგობრობის საფრთხობელა გახდა, ამაში ვერაფერს გასაკვირს ვერ ვხედავ. ეს ჩვეულებრივი დაშინებაა, რაზეც დასავლეთი არ რეაგირებს, რაც ბევრი წელია გრძელდება.

– „ნიუ იორკ თაიმსმა“ დაწერა, რომ ტრამპის ინიციატივით შესაძლოა ამერიკა გავიდეს ნატოდან იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორები სამხედრო დანახარჯს არ გაზრდიან. რამდენად რეალური საფრთხე გგონიათ?

– ასეთი რამე არ წამიკითხავს. ის, რომ ნატოდან ამერიკა გავა, ასეთი რამე არ წერია. მე შემიძლია გითხრათ, რომ ეს არ არის სიმართლე. ამერიკისთვის ნატო ყველაზე მნიშვნელოვანია. ეს არის ამერიკული ორგანიზაცია რეალურად. როგორი პოლიტიკური სპეკულაციაც არ უნდა იყოს, ეს არალოგიკურია და ასეთი ინფორმაცია სიმართლესაც არ შეესაბამება. ტრამპს რთული ურთიერთობა აქვს ნატოში პარტნიორებთან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამერიკა ნატოდან გავა, რომელიც მისი შექმნილი ორგანიზაციაა.

– დანახარჯების თემა სირთულის საფუძველი ხომ არ შეიძლება გახდეს.

– არა, არ შეიძლება. ამ თემაზე სხვას ვერაფერს გეტყვით.

კრემლმა საქართველოსთან დიალოგის თემა განაახლა?

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველო რუსეთისთვის აქტუალური ხდება. იქმნება წინაპირობები ახალი დიალოგის შემოთავაზებისათვის.

რუსეთის მოქმედებები დღემდე გამოიხატება საოკუპაციო ზოლების გადმოწევაში, არაღიარების პოლიტიკის დარღვევის გაფართოებაში, ფარულ კონტაქტებში თავისი ინტერესების გამტარებლებთან საქართველოში და დროდადრო მოლაპარაკებების შემოთავაზებაში საქართველოს პირველ პირებთან.

მიმომხილველების გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ მოსკოვმა არ მიიღო ზომები ღორის გრიპისაგან საკუთარი მოქალაქეების დასაცავად. მათი თქმით, საქართველოში მომაკვდინებელი ღორის გრიპი მძვინვარებს. ამის გამო ირანმა გააფრთხილა თავისი მოსახლეობა, მოერიდოს ვიზიტებს საქართველოში, ხოლო ოკუპირებული რეგიონების ხელმძღვანელებმა აკრძალეს გადმოსვლა საქართველოს სხვა კუთხეებში.

რუსეთს არც საზღვარი ჩაუკეტავს და არც თავისი ხალხი გაუფრთხილებია იმ დროს, როცა რუსი ტურისტების საქართველოში ჩასვლის მაჩვენებლები რეკორდულია. ავტორების განმარტებით, რუსები საქართველოში დასასვენებლად მიემართებიან, მათი ყოფნის ადგილებში დასნეულების საფრთხე არ არსებობს. დაავადება სახიფათოა იმათთვის, ვინც ქვეყანაში სამუშაოდ, ბიზნესის საკეთებლად ან სამკურნალოდ მიემგზავრება.

თეირანმა თავისიანები გააფრთხილა. ექსპერტების აზრით, ეს გაფრთხილება გამოწვეულია საქართველო-ირანის ურთიერთობების გაუარესებით. საქართველოში ჩამოსული ირანელები ბოლო დროს პრობლემებს აწყდებიან. გრიპმა საქართველოში 2009-2010 წლებშიც მძიმე შედეგი მოიტანა, მაგრამ მაშინ ირანს ზომები არ მიუღია.

რუსეთი არ ეწინააღმდეგება ტურისტულ ნაკადებს საქართველოში. არსებობს მოსაზრება, რომ კრემლს საქართველოსთან ურთიერთობის გამოსწორება უნდა უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის ფონზე.

საქართველოში გრძელდება მწვავე გამოსვლები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ხელისუფლების მხრიდან უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის აღიარების მოთხოვნით.

რუსეთში მოღვაწე ექსპერტები კი მიიჩნევენ, რომ უკრაინის საეკლესიო ავტოკეფალიის მხარდასაჭერად საქართველოში ვნებები უკვე ჩაცხრა – საქართველოს ოფიციალური პირები გამოხატავენ პატივისცემას თავისი ქვეყნის ეკლესიისადმი, თავად ეკლესია ამ პროცესში ჩარევას არ აპირებს.

მათი აზრით, ამ თემებზე ხმაურობდნენ და საეკლესიო იერარქებს უტევდნენ ტელეწამყვანები, რომლებსაც წარმოდგენა არა აქვთ რელიგიაზე, ასევე იმაზე, რას უქადის მართლმადიდებლობას და მთელ ქრისტიანობას განხეთქილება მართლმადიდებლურ სამყაროში, ასევე, რა ვნებას მოუტანს საქართველოს აფხაზეთის ეკლესიის ცნობა.

უკრაინის ეკლესიაზე დავა საქართველოში დამთავრებული არ არის. მიუხედავად ამისა, რუსეთში მიიჩნევენ, რომ ამაზე თბილისში საუბარი დამთავრებულია. შესაძლოა, რუსეთს საქართველოდან ამგვარი დაპირება მიღებული აქვს.

ექსპერტების დასკვნით, დაძაბულობა შენელდა და ჩნდება თბილისსა და მოსკოვს შორის დიალოგის შესაძლებლობა.

ალბათ კრემლმა საქართველოსთან დიალოგის თემა განაახლა. თუმცა, რა ფარული კონტაქტებიც უნდა იყოს რუსეთთან, ღია დიალოგზე საქართველოს დათანხმება ადვილი არ არის.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ოკუპირებული ტერიტორიები ის უმწვავესი საკითხებია, რომლებზეც კომპრომისს საქართველოში ვერავინ ბედავს.

პეტრე მამრაძე: „ივანიშვილი კობახიძეს უფრო ენდობა, ვიდრე ბესელიას“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე „ახალ თაობასთან“ სასამართლო ხელისუფლების მდგომარეობასა და ამ კუთხით არსებულ ინტერესებზე საუბრობს.

– ბატონო პეტრე, რატომ ვერ დაიძლია სასამართლო ხელისუფლების პრობლემა, რომელმაც მმართველ გუნდში განხეთქილება გამოიწვია?

– პირადი ინტერესების გამო. თვითონ ფაქტი, რომ საქართველოში მწვავედ და ღიად საუბრობენ ამ საჭირბოროტო საკითხზე, უზენაესი სასამართლოს მდგომარეობაზე. მათ შორის მმართველი გუნდის წევრებსაც რომ სხვადასხვა აზრი აქვთ, ეს პოსტსაბჭოთა სივრცეში საკმაოდ დიდი იშვიათობაა.

– ვისი ინტერესებია და რა პირადი ინტერესები აქვთ?

– პარლამენტის უმრავლესობის შიგნით არის ნაწილი ადამიანებისა (მე გვარები არასოდეს მაინტერესებდა და არც დღეს მაინტერესებს), ვისაც მიაჩნია, რომ კოლექტიური ჩინჩალაძეები და მურუსიძეები სანდო ადამიანები არიან და აწი მოემსახურებიან ამ რეჟიმს.

– მსახურების გამოა ამდენი ამბავი?

– დიახ, მხოლოდ მსახურების გამო. გუშინ ვკითხულობდი, გამოსულა ადამიანი, უთქვამს, რომ კურსელები არიან ჩინჩალაძეები და სხვები (არ მინდა გვარები შემეშალოს, არც მაინტერესებს), იქ ნათელ-მირონობა აერთიანებთ, კურსელები არიან. იქ კიდევ რაღაც კავშირებია. ქართული ტრადიციის შესაბამისად, ეს ნიშნავს, რომ პიროვნულად ერთგული იქნება.

– ჩინჩალაძე ადეი შვილის ალალი დეიდაშვილი ყოფილა.

– მათთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, ისეთი პატრონ-კლიენტური კავშირები, ადამიანმა იცის, რომ კარგად მოემსახურება. ფარცხალაძე გაიხსენეთ, სექტემბრის დასაწყისში საკაკაშვილის ხელით უმაღლესი ჯილდო მიიღო შავბნელი საქმეებისთვის. მერე კი „ოცნებამ“ მთავარი პროკურორი გახადა.

– პირადი ინტერესებიაო ამბობთ, რა ვალი აქვთ ასეთი კობახიძეს და მის ჯგუფს, მით უმეტეს, ბიძინა ივანიშვილს მურუსიძეების, ჩინჩალაძეების და სხვების, რომ ამდენ ლანძღვას და დაპირისპირებას იტანენ.

– არავითარი ვალი. ეს არასწორი მიდგომაა. ჯერ ერთი, დროებით თავი დავანებოთ ივანიშვილს, ეს ცალკე თემაა, მაგრამ ვისაუბროთ გუნდის ლიდერებზე. ერთ-ერთი კობახიძეა, რომელიც ასე თუ ისე პარლამენტის თავმჯდომარეა, იციან, რომ ბიძინა ივანიშვილთან გარკვეულ ურთიერთობაშია. ეს გამოჩნდა მაშინ, როცა კობახიძე ბიძინა ივანიშვილთან ერთად პლაკატებზე გამოჭიმეს სალომე ზურაბიშვილის ნაცვლად.

ესენი ეძებენ ისეთ ადამიანებს, რომლებიც მოსამართლეებად რომ დაინიშნებიან, კონტროლიდან არ გავლენ. მურუსიძე აცხადებდა, წინა ხელისუფლების მსხვერპლი ვიყავიო და აშკარად ეხალისებოდა და უნდოდა ისევ მსხვერპლი იყოს, რადგან გარკვეული ხიბლი იყო, მაღალი თანამდებობა, მაღალი პრემიები, ხელფასები, მანქანის მომსახურება და ა.შ. ხომ კარგი მსხვერპლია?

– თუ არაფერს ა შავებ და სწორად მიგყავს საქმე, მაინცდამაინც სააკაშვილის მსახური, ათასგვარი უკანონო გადაწყვეტილებების ავტორი მოსამართლეები რად გინდა?

– ამათ იცით რა აინტერესებთ? თუ მართალია ის ინფორმაცია, რომ კურსელები და ჯგუფელები არიან, ნათელ-მირონი აკავშირებთ, ეს პატრონ-კლიენტური გადმოსახედიდან (მთელი ჩვენი საზოგადოებაც პატრონ-კლიენტური ქსელით არის გამსჭვალული) გარანტიაა, რომ ჩემი კონტროლის ქვეშ ჩემი კაცი იქნება, თორემ რა აქვს ჩადენილი ამას და იმას, მნიშვნელობა არ აქვს. თორემ მოიყვან სხვას,

კრისტალურად პატიოსანი ჩანს მონაცემებით, მაგრამ იმასაც რაღაც აღმოუჩნდება, რაღაცას ჩაიდენს. გაიხსენეთ მარგველაშვილის ფენომენი, რაც ბიძინამ თქვა: ასეთი იყოო (ხელის გული აჩვენა) და ისეთი გახდა (ხელი გადააბრუნა) ერთ დღეში. გაჰყვიროდა, არ შევალ, არ შევალ, არ შევალ კალიგულას რეზიდენციაშიო, შემდეგ შევიდა, იქიდან დაურეკა ბიძინას და ბობოყვათის რეზიდენცია მოსთხოვა.

ნახეთ, რა ხდება? ამის შემდეგ ეს ადამიანები არწმუნებენ ივანიშვილს, შესანიშნავი კანდიდატები არიან, აგერ ჩვენ ვართ თავდებში, რომ ისინი გაამართლებენო.

– რამდენიმე დღის წინ ვოლსკიმ განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილს ველაპარაკე და გაურკვევლობა შეიაო. ერთ-ერთმა ყოფილმა დეპუტატმაც მითხრა, რომ აქ გარკვეული კომუნიკაციის პრობლემაც არის – ვინც ახერხებს თავისი ინფორმაციის მიწოდებას, იმის მიხედვით განსჯის.

– ასეა, რაც „ოცნება“ მოვიდა. მას შემდეგ არაფერი შეცვლილა. ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში ჩართული არასოდეს ყოფილა. 2011 წელს რომ ჩაერთო, ესეც გარკვეული ტიპის წერტილოვანი ჩართვებია. ძალიან არ უყვარს ეს საქმე, რაც ბიძინა ივანიშვილს არ დაუმალავს. პოლიტიკა კი ისეთი საქმეა, თუ კვირაში 7 დღე და ღამე და დღეღამეში 24 საათი ჩართული არ ხარ, არაფერი გამოვა.

– ბატონო პეტრე, ბიძინა ივანიშვილმა ბესელია და ფოფხაძე ცოტათი მაინც გააკრიტიკა ბოლო დროს სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებით დაწყებული დაპირისპირების გამო, გუნდურობა დაუწუნა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იმ ჯგუფს, რომელიც პარლამენტში სასამართლო რეფორმის მომხრეა და ხმაურიანი განცხადებები გააკეთა, ბიძინა ივანიშვილთან კომუნიკაცია არ აქვთ და ვერ დააჯერეს?

– ბიძინა ივანიშვილმა მეორე ჯგუფს დაუჯერა, ვიდრე ეკა ბესელიას. ბესელია რომ მხოლოდ თავისი პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობს, ესეც ძალიან კარგად არის ცნობილი საზოგადოებაში.

– ამ შემთხვევაში ხომ ეკა ბესელიას განცხადებები და მოქმედება სრულ ჰარმონიაშია საზოგადოების განწყობებთან?

– არავითარ შემთხვევაში.

– რატომ, საზოგადოებას არ უნდა სასამართლო რეფორმა და ნორმალური მოსამართლეები ჰყავდეს?

– რასაკვირველია, სასამართლო რეფორმა გვინდა, მაგრამ ბესელიამ ხმაური ატეხა იმის გამო, რომ იცოდა, ყოველგვარი სასამართლო რეფორმის პრობლემის გარეშე ის ვიცე-სპიკერად გადაჰყავდათ, ანუ აშორებდნენ იმ ადგილს, სადაც ზემოქმედებისა და თავისი პირადი თუ პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ძლიერი ბერკეტები ჰქონდა.

– პოლიტიკური მდგომარეობისთვის ვიცე-სპიკერი ნაკლები თანამდებობაა?

– გავიხსენოთ, „ოცნების“ გამარჯვებიდან რამდენიმე თვე იყო გასული და ივანიშვილმა საჯაროდ განაცხადა, თუ მართალია, რომ ბესელიამ ფოთელებს უთხრა, ივანიშვილმა ფოთი მე ჩამაბარაო, მაშინ ბესელია უნდა წავიდეს, მისი ადგილი გუნდში არ არისო. შესაბამისად, აშკარაა, რომ ბესელიას მიმართ, მისი წარსულიდან გამომდინარე (გაიხსენეთ, საკნების აქციის დროს, სად და რომელ პარტიაში იყო ბესელია, ვისთან თანამშრომლობდა), ბიძინა ივანიშვილს აშკარად არ ჰქონდა ნდობა. ეს ასახულია საზოგადოების იმ ნაწილი, ვინც იცნობს ამ ქალბატონს. ივანიშვილმა ტყუილად კი არ თქვა განცხადებაში.

– წარსული აქ რა შუაშია?

– ნდობა ხომ წარსულიდან გამომდინარეა.

– გასაგებია, მაგრამ ამ მომენტში...

– ივანიშვილი კობახიძეს უფრო ენდობა, ვიდრე ბესელიას. ისინი ეუბნებიან ერთს, ესენი – მეორეს. ივანიშვილმა შესანიშნავად იცის, რომ ბესელია პირადი ინტერესებიდან გამოდის და არა საზოგადოებრივიდან.

– ბესელიას რომ არაფერი ეთქვა, არ გადამდგარიყო და არ ეხმაურა, ის სია, რაც გამოაგზავნეს იუსტიციის საბჭოდან სააკაშვილის მოსამართლეებმა, უპრობლემოდ გავიდოდა.

– ნურას უკაცრავად. ხმაური ეკა ბესელიამ კი არა, სხვა ბევრმა ადამიანმა ატეხა. მაგალითად, ჯანეზაშვილმა, დოლიძემ.

– კი ბატონო, მათაც გააკეთეს განცხადებები, მაგრამ პარლამენტის უმრავლესობიდან გაკეთებულ განცხადებაზე ვსაუბრობ.

– კობახიძემ განაცხადა, ჩვენ არ ვჩქარობთ, დიახაც, ყველაფერს მოვისმენთ საგაზაფხულო სესიაზეო. იმ დღესვე, 26 დეკემბერს, იუსტიციის საბჭომ გააკეთა შესაბამისი განცხადება.

მეორე დღეს 27 დეკემბერს ბესელია იწებს განცხადებების გაკეთებას. რომ ამტვრევს ღია კარს? გასაგებია ყველასთვის, ვინც კი იცნობს ბესელიას, რატომ.

– ითქვა, ბესელია რომ არ გადამდგარიყო, იძულებული იქნებოდა, იურიდიულ კომიტეტში იუსტიციის საბჭოს მიერ გაგზავნილი სიის განხილვა დაეწყოთ.

– არავითარ შემთხვევაში, ეს ის არის, რაც ბესელიას უნდა, რომ გაითამაშოს. ზაქარეიშვილმა კარგად თქვა, ყოჩაღ, ბესელიას, პირადი საუბრები ჩააბა სახელმწიფო ინტერესებს. ბესელია გადაჰყავდათ ვიცე-სპიკერად, ყოველგვარი ამ თემის გარეშე გადაწყვეტილი იყო. არადა სიკვდილივით არ უნდოდა მოშორებოდა ამ ადგილს.

– რატომ გადაჰყავდათ? ე.ი. არ უნდოდათ, იქ ყოფილიყო, რადგან ამ საკითხში ხელს შეუშლიდა.

– არ უნდოდათ, რადგან იცოდნენ, რისთვის იყენებდა ეს ქალბატონი თავის სამსახურებრივ მდგომარეობას იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის რანგში.

– რისთვის იყენებდა?

– გუნდში არსებობს აზრი, რომ ბესელია თავის სამსახურებრივ მდგომარეობას პირადი ინტერესებისთვის იყენებდა.

– რაში გამოიხატებოდა პირადი ინტერესებისთვის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეობის გამოყენებას? მაგალითად, რას აკეთებდა.

– თქვენ მოიფიქრეთ, რას? ჩვენ ხომ არ ვიცით, რას ჰპირდებოდა იმ ადამიანებს, მე თქვენ გაგიყვანთ მოსამართლეებად, ოღონდ... და გაიხსენეთ ბესელიას სახელი როგორ გაჟღერდა ფოთამდე, როდესაც „პოლიტპატიმრები“ ციხიდან გამოვიდნენ, რამდენი ნარკობარიგა იყო მათ შორის.

– ეგეთი რამეები შეიძლება მოუგონონ და მიაწებონ, მთლად ასე არ იქნება, ბატონო პეტრე.

– ჩემს სახელს რაიმე მიაწებეს, არაერთხელ ვიყავი უმაღლეს თანამდებობაზე. არაფერი მიუწებებიათ.

– არ მინდოდა თქმა, მაგრამ ასე თქვენზეც ათას რამეს მეუბნებოდნენ.

– ჩემზე არაფერს ამბობდნენ. ერთი ის თქვეს, ქალები უყვარსო, მეტი არაფერი. ფულზე ჩემი მისამართით არაფერი უთქვამთ, იმ დროს, როცა სააკაშვილი და ძმანი მისნი რას არ კადრულობდნენ. კორუფცია რა არის. კორუფციაა ფული და ნაცნობ-მეგობრობით ვიღაცების დანიშვნაა. ვინმეს გაუგია, რომ მამრაძემ ვინმე თავისიანი სადმე დანიშნა? არა.

– ახლა ითქვა, რომ კრიტერიუმები უნდა დადგინდეს, რომლის მიხედვითაც უნდა წარმოადგინონ ახალი სია. თუმცა, უკვე არსებულ სიაზე, კობახიძემ განაცხადა, რომ იურიდიულად იუსტიციის საბჭოს უკვე წარმოდგენილი სიის გაწვევა შეუძლებელია.

– შეიძლება პარლამენტმა ჩააგდოს.

– იუსტიციის საბჭო, რომელიც ისევ იმ შემადგენლობით იქნება წარმოდგენილი, ახალ სიას როგორ დაწერს, როგორი კრიტერიუმებიც უნდა დაადგინო?

– ჯანეზაშვილმა გაახმოვანა, როგორ შედის იუსტიციის საბჭოს მდივანი მიქაუტაძე ქაღალდის ნაგლეჯი, სადაც ჩამოწერილია გვარები და აცხადებს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების სია უნდა წარვუდგინოთ პარლამენტსო. მე ვსვამ კითხვას, საიდან გაჩნდა ეს სია? რა, მიქაუტაძემ თვითონ შეადგინა? ცხადია, არა.

მიქაუტაძეს სია რომ შეედგინა, ვინ დაუჯერებდა. ვისგან მოიტანა ეს სია? ზუსტად იგივე ხდება, რაც ხდებოდა სააკაშვილის დროს, როცა პავლე კუბლაშვილი გავარდებოდა (ყველამ იცოდა, რომ სააკაშვილთან მიდიოდა), გამოიტანდა ამბავს და განაცხადებდა, ახლა ამას ვაძლევთ ხმასო. მორჩა და გათავდა.

– ანუ გინდათ თქვათ, რომ ეს სია დაინტერესებულმა მხარემ მიქაუტაძეს მიაწოდა?

– რა თქმა უნდა. დაინტერესებულმა მხარემ, რომელიც იუსტიციის საბჭოში აღქმულია, როგორც პატრონი, ბოსი, რომლის ნათქვამი საერთოდ არ ექვემდებარება რაიმე განხილვას და მსჯელობას, იმ დაინტერესებული მხარიდან (ოღონდ, ის ივანიშვილი არ არის) შემოვიდა ქაღალდის ნაგლეჯი, სადაც ეწერა უზენაეს სასამართლოში დასანიშნი მოსამართლეების კანდიდატების სია.

– დაინტერესებულ მხარეს ვინ წარმოადგენს?

– გვარები ნაკლებად მაინტერესებს, მაგრამ გადაწყვეტილებებიდან ჩანს, რომ ამ შემთხვევაში ბესელიას სია არ იქნებოდა. ამიტომაც გადაუდგა ამ საქმეს, რომ თავისიანები ვერ გაიყვანა. ჩანს, კობახიძემ და სხვებმა აჯობეს ბესელიას ივანიშვილის დარწმუნებაში, რომ წარმოდგენილი კანდიდატები არიან კარგები. ივანიშვილმაც უთხრა, თუ ეგენი არიან კარგები, კარგიაო და იუსტიციის საბჭოს მიაწოდეს კანდიდატების სია, ამას უნდა მისცეთ ხმაო.

– არ ვიცი. მე ვიფიქრე, რომ ეს იყო იუსტიციის საბჭოს სია კულისებს მიღმა დაწერილი. იყო მომენტი, როდესაც „ოცნება“ მოვიდა, მოსამართლეებმა ხელისუფლება დაა შანტაჟეს, მოსამართლეების თავყრილობაზე იმუქრებოდნენ, თუ სასამართლოს შეეხებით, გავიფიცებით და სასამართლოს მუშაობის პარალიზებას მოვახდენთო. „ოცნების“ პირობებში დანიშნული უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გაიქცა. ეს ვისი ბრალია?

– არ ვიცი. ჩვენ ხელთ გვაქვს დოკუმენტი. ჯანეზაშვილი იუსტიციის საბჭოს წევრია, შედის და ხედავს, რომ მიქაუტაძეს ერთ ფურცელზე ჩამოწერილი სია აქვს.

– არ შეიძლება, სია მიქაუტაძეს დაეწერა?

– მიქაუტაძეს სია რომ დაეწერა და კოლეგებისთვის ეთქვა, ამის გაგზავნა არის საჭიროო, ამას მწვავე მსჯელობა მოჰყვებოდა, რადგან მიქაუტაძე არანაირი ავტორიტეტი არ არის.

– იქიდან გამომდინარე, რაზეც ჩვენ ვისაუბრეთ, დასკვნა ის არის, რომ მგონი, ამ სასამართლოს არაფერი ეშველება.

– არავითარ შემთხვევაში, ეგრე სად არის. მთავარი ის არის, რომ ადამიანი, რომელიც თავის გუნდში აღიქმება უზენაეს ავტორიტეტად (ივანიშვილი), მას თავისი პირადი ინტერესი და პრეტენზია არ აქვს, მას მხოლოდ კარგი უნდა საქართველოსთვის. სხვა საქმეა, როგორ გამოსდის, როდესაც არაადეკვატურია პოლიტიკური პროცესების მიმართ. ბიძინა ივანიშვილს პირადი ინტერესი რომ ჰქონდეს, მაშინ სულ სხვა ვითარება იქნებოდა. ის რომ არის არბიტრი, ივანიშვილმა შესანიშნავად თქვა მაისის თვეში – ჩემზე ამბობენ, მართავსო, არაფერსაც არ ვმართავ. ჰკითხეთ კვირიკაშვილს, როდის დამირეკავს მასთან და რამდენჯერ. კონტროლი სხვაა. სად მართვა და სად ადამიანს რომ მიუვა წელიწადში ერთხელ, ან ორჯერ რაიმე ინფორმაცია და წერტილოვნად დაარტყამს. ეს ხომ მართვა არ არის. ეს არის კონტროლი, აბა, რა ხდება? აქამდე როგორ მოიყვანეთ საქმე? ერთმა-ორმა ბანკმა როგორ გადაჭამა ქვეყანა. ერთი ორი ბანკი ქვეყანას ვერ გადაჭამს.

– იუსტიციის საბჭოს დაშლაზე რა აზრის ხართ?

– მე ვამბობ, რომ დადებითია ის, რაც ხდება. ყველაფერი შეფარდებითია. ეკონომიკურად და სოციალურად საქართველოსნაირ ქვეყნებში, ყველგან ავტორიტარული რეჟიმებია და არავინ მსჯელობს სასამართლოს დაკომპლექტებაზე.

საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარედ პროკურორი ნანა ხუნჯუა აირჩიეს

გუშინ, 16 იანვარს, საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარედ პროკურორი ნანა ხუნჯუა აირჩიეს.

ხუნჯუა ფარული კენჭისყრით აირჩიეს.

ხმების რაოდენობით, მეორე ადგილი ირმა ჭკადუამ დაიკავა. აღნიშნულ პოზიციაზე ხუნჯუა 2 წლის ვადით აირჩიეს.

„ნანა ხუნჯუა საპროკურორო საბჭოს სხდომაზე ფარული კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით საპროკურორო საბჭოს ახალ თავმჯდომარედ აირჩიეს.

საბჭოს სხდომაზე დღეს ორი კანდიდატურა დასახელდა, ადვოკატი ირმა ჭკადუა და პროკურორი ნანა ხუნჯუა, მან ხმათა უმრავლესობით (12 ხმა), საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარის პოსტი 2 წლის ვადით დაიკავა.

საპროკურორო საბჭოს წევრთა განცხადებით, მათთვის მნიშვნელოვანი იყო ორი გარემოება – თავმჯდომარე ყოფილიყო გამსვლელი პროკურორი, ამასთან, წევრები ამ გადაწყვეტილებით მიესალმებიან პროკურატურის საქმიანობაში ქალთა როლის გაძლიერებას“ – ნათქვამია პროკურატურის ინფორმაციაში.

ოზურგეთში 38 წლის მამაკაცმა თავი ჩამოიხრჩო



ოზურგეთში 38 წლის მამაკაცმა თავი ჩამოიხრჩო.

ჯერჯერობით უცნობია, რა გახდა სუიციდის მიზეზი.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ლიძავაში მოსკოველი ბიზნესმენი ააფეთქეს

რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში, გაგრის რაიონის სოფელ ლიძავაში 15 იანვარს ბიზნესმენის მანქანა ააფეთქეს.

ადგილობრივი ე.წ სამართალდამცავების ინფორმაციით, პაკეტში მოთავსებული ასაფეთქებელი მოწყობილობა საქარე მინასა და „კაპოტს“ შორის იყო მოთავსებული. მძღოლმა გადაწყვიტა პაკეტი თავად ამოეძრო, როდესაც აფეთქება მოხდა.

აფეთქების შედეგად მოსკოველმა ბიზნესმენმა მიხაილ ევალენკომ მძიმე დაზიანებები მიიღო. ის ოჯახმა სოჭის საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც რამდენიმე რთული ოპერაცია გაუკეთდა, ამოუღეს ორივე თვალი. ის ამ დროისთვის უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, ოჯახი მის გადაყვანას მოსკოვში გეგმავს.

საქმე მკვლელობის მცდელობის მუხლითაა აღძრული.

საოკუპაციო რეჟიმის მედიის ინფორმაციით, ევალენკო აფხაზეთში უკვე რამდენიმე წელია ცხოვრობს და ბიზნესითაა დაკავებული.

რამდენიმე დღის წინ რუსეთის მოქალაქე მოკლეს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ტამიშში. მიხაილ მასლოვს თავს ორი შეიარაღებული ნიღბიანი დაესხა.

მასლოვი მიღებული ჭრილობებისგან დაიღუპა.

გორში ორი მაღაზია გაქურდეს

გორში ორი მაღაზია გაქურდეს.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, ორივე შემთხვევა კომბინატის დასახლებაში, თარხნიშვილის ქუჩაზე მოხდა.

ერთი მაღაზიიდან ალკოჰოლური სასმელები, მეორედან კი სასურსათო პროდუქტებია წაღებული.

ორივე შემთხვევას გორის პოლიცია 177 მუხლის მეორე ნაწილით იძიებს.

ქუთაისში მანქანამ 53 წლის კაცი გაიტანა და მოკლა

მძღოლი მიიმალა

ქუთაისში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 1 ადამიანი დაიღუპა.

ავტომობილი ქვეითს, 53 წლის მამაკაცს, დაეჯახა. ის ადგილზე გარდაიცვალა.

თვითმხილველების თქმით, მამაკაცი ტროტუარის მოუწესრიგებლობის გამო, იძულებული იყო, სამანქანო გზაზე გადასულიყო. სავარაუდოდ, სწორედ ამ დროს დაეჯახა მას მანქანა.

შემთხვევა მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. მძღოლი მიიმალა.

მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.

გიორგი ადუაშვილი ზურაბ კუჭავას განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის დააკავეს

რა მოხდა 15 იანვარს ვერაზე

15 იანვარს თბილისის ცენტრში მომხდარი სისხლიანი დაპირისპირების ფაქტზე პოლიციამ 2 პირი დააკავა.

ერთ-ერთია გიორგი ადუაშვილი, რომელსაც გამოძიება ზურაბ კუჭავას განზრახ მკვლელობის მცდელობაში ადანაშაულებს. ადუაშვილი ბასრი საგნით მიყენებული ჭრილობებით ამ დრომდე საავადმყოფოში რჩება.

როგორც მისი მკურნალი ექიმი აცხადებს, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ის საავადმყოფოდან დღეს გაეწერება.

– გადაყვანილია პალატაში, პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ არის, – ამბობს ექიმი.

მეორე დაკავებულის, კოტე ჯორბენაძის, წინააღმდეგ კი გამოძიება დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დაიწყო.

ზურაბ კუჭავა, რომელსაც ცეცხლნასროლი ჭრილობა აქვს მიყენებული, ტრავმატოლოგიის ცენტრში მოათავსეს. ექიმების ინფორმაციით, დაზიანება მას კისერში აღენიშნება.

კუჭავა და რამდენიმე პირი თაბუკაშვილის ქუჩაზე მდებარე პოლიციის განყოფილებაში მთელი ღამის განმავლობაში იკითხებოდნენ.

ავტომობილის ჩაცხრილვას წინ ჩხუბი უძღოდა, რომლის დროსაც ადუაშვილი დაიჭრა, შემდეგ კი მან იმ ავტომობილისკენ ისროლა, სადაც კუჭავა იჯდა.

სროლის შემდეგ მძღოლმა, სავარაუდოდ, საჭე ვეღარ დაიმორჩილა, მანქანიდან გადმოვიდა, ავტომობილი კი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზთან დაპარკინგებულ სხვა მანქანას შეეჯახა.

მოგვიანებით შსს-ს ოფიციალური განცხადება გავრცელდა.

განცხადების მიხედვით, გამოძიებამ დაადგინა, რომ 15 იანვარს თბილისში, გიორგი ადუაშვილმა, რომელიც ავტომანქანით გადაადგილდებოდა, 1988 წელს დაბადებულ ზურაბ კუჭავას ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას შესაბამისი მკურნალობა ჩაუტარდა.

პოლიციამ განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით გიორგი ადუაშვილი დააკავა. ის საავადმყოფოშია მოთავსებული და სამართალდამცველებთან მისი დაჭრის ფაქტზე არ თანამშრომლობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომის დაჭრასთან დაკავშირებით, დამნაშავის იდენტიფიცირების და დაკავების მიზნით, საგამოძიებო მოქმედებებს ახორციელებს.

„გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს“ – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

* * *

„კურიერმა“ თბილისის ცენტრში მომხდარი შეიარაღებული დაპირისპირების კიდევ ერთი მონაწილის ვინაობა გაარკვია. ის „ქართული მარშის“ ყოფილი ლიდერის, გია კორკოტაშვილის შვილი, ვაჟა კორკოტაშვილია.

წყარო სამართალდამცავი უწყებებიდან „კურიერს“ უყვება, რომ სროლას და დანით გიორგი ადუაშვილის დაჭრას წინ საქმის გარჩევა უძღოდა, რომელშიც ვაჟა კორკოტაშვილი მონაწილეობდა.

ერთ-ერთი ვერსიით, კონფლიქტი ახალგაზრდებს შორის სწორედ კორკოტაშვილის სახლში დაიწყო და შემდეგ ტატიშვილის ქუჩაზე გაგრძელდა.

შვილის კრიმინალურ გარჩევაში მონაწილეობას არ ადასტურებს გია კორკოტაშვილი.

ის ამბობს, რომ ინფორმაციას არ ფლობს, თუმცა ადასტურებს, მისი შვილი კონფლიქტისას დაჭრილ ერთ-ერთ პირთან მეგობრობს.

– ზუკას ვიცნობ მეც, რა ვიცი, ჩვეულებრივი ის არის რა, ვიცი, რომ დაჭრილია. ადუაშვილიც ვიცი, რომ ჯანმრთელადაა. იმათ საერთოდ არ ვიცნობ პრეზიდენტის სიძის მხარეს. ვაჟიკო რაზე ამოტივტივდა, არ ვიცი, შეიძლება მეგობრები არიან ზუკა და ეგ. თუ მონაწილეობდა, იქ უშუალოდ უნდა ყოფილიყო, სამართალდამცველები დააკავებდნენ.

ისეთი ცხოვრება მაქვს მე, დაძაბული და ის, რომ ეგეთი ჩხუბი რომ მოსვლოდა, ვაჟიკო ეგეთ რამეზე საქმის კურსში არ მაყენებს, თავის პიროვნული ბიჭობაც ყოფნის და ყველაფერიც, რომ საჩხუბარი თუა, იჩხუბოს, მოსაფერებელი თუა, მოეფეროს, – ამბობს გია კორკოტაშვილი კურიერთან საუბრისას.

შს მინისტრის მოადგილე ნათია მეზვრიშვილი საქმეში ვაჟა კორკოტაშვილის მონაწილეობას ვერც ადასტურებს და ვერც უარყოფს. ის ბრალდებულთა წრის გაზრდას არ გამორიცხავს.

– ამ ეტაპზე, მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დაკავებულია ერთი პირი, ასევე ერთი პირია დაკავებული დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით.

გიორგი ადუაშვილი, როგორც ჩემთვის არის ცნობილი, ამ ეტაპისთვის გამოძიებასთან არ თანამშრომლობს და მისგან ინფორმაცია დანაშაულის დეტალებთან დაკავშირებით არ გვაქვს. დაველოდოთ შემდგომი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას.

გამორიცხული არ არის, ამ საქმეზე ბრალდებულთა წრე გაიზარდოს. გამოძიება გრძელდება იმისთვის, რომ მოტივი და უფრო მეტი დეტალი გავარკვიოთ, – განუცხადა ჟურნალისტებს ნათია მეზვრიშვილმა.

კურიერის ინფორმაციით, დაპირისპირება ვერაზე ექსპრეზიდენტ მარგველაშვილის სიძის, მინდია გოგოჭურის და კაჭარავას კონფლიქტს უკავშირდება და ეს კვლავ ორ სამეგობროს შორის სისხლიანი გარჩევის გაგრძელებაა.

კურიერის ცნობით, ადუაშვილი კაჭარავას მეგობარია, კუჭავა კი, სავარაუდოდ, გოგოჭურის.

ნათია მეზვრიშვილი კი ამბობს, რომ მისთვის უცნობია, რამდენად შეიძლება მომხდარში მინდია გოგოჭური ფიგურირებდეს.

* * *

გიორგი ადუაშვილი 2013 წელს მოკლული ბიზნესმენის, ავთანდილ ადუაშვილის ვაჟია.

ანტონ ადუაშვილის ცხედარი საკუთარ ავტომობილში ზაზიაშვილის ქუჩაზე იპოვეს.

ბიზნესმენის მკვლელობის ბრალდებით 3 პირი დააკავეს და უვადო პატიმრობაც მიუსაჯეს.

ანტონ (ავთანდილ) ადუაშვილის განზრახ მკვლელობაში ერთ-ერთი ბრალდებული ვახტანგ ჩხაპელიაა, რომელიც მომღერალ სოსო პავლიაშვილის დის ქმარია.

ადუაშვილები მკვლელობის დამკვეთად სწორედ პავლიაშვილს ასახელებდნენ. მეტიც, ანტონ (ავთანდილ) ადუაშვილის განზრახ მკვლელობაში ბრალდებული ვახტანგ ჩხაპელია სოსო პავლიაშვილს მკვლელობის ფინანსურ მხარდამჭერად ასახელებდა.

პავლიაშვილი ადუაშვილის დიდი ხნის მეგობარი და ბიზნესპარტნიორი იყო.

„ვნახე, როგორ ამოტრიალდა მანქანა და როგორ ჩავარდა არხში“

ავარიას ფოთთან 65 წლის მამაკაცი ემსხვერპლა

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალადიდში ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა. „სუბარუს“ მარკის ავტომანქანის მძღოლმა მოსახვევში საჭე ვერ დაიმორჩილა, ამოტრიალდა და არხში ჩავარდა.

შემთხვევის შედეგად მძღოლი, 65 წლის მამაკაცი, ადგილზე გარდაიცვალა, 2 პირი კი დაშავდა. ისინი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ფოთის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

ექიმების ინფორმაციით, ერთი დაშავებულის მდგომარეობა მძიმეა, მას მრავლობითი მოტეხილობები აღენიშნება, ხოლო მეორეს ტრავმები გულ-მკერდის არეში აქვს მიღებული და მისი მდგომარეობა შედარებით მსუბუქია.

თვითმხილველის თქმით, მანქანაში ერთი ოჯახის 5 წევრი და მეზობელი იმყოფებოდა, რომელიც გარდაიცვალა.

– აქ ძალიან ცუდი მოსახვევია. ვნახე, როგორ ამოტრიალდა მანქანა და როგორ ჩავარდა არხში. ადგილობრივებმა ორი ქალი და ერთი მოზარდი ამოვიყვანეთ, მაქსიმალურად შევეცადეთ დავხმარებოდით. სამწუხაროდ, არის ერთი გარდაცვლილი, – განაცხადა თვითმხილველმა ვალტერ კირთაძემ.

ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ტრამპის პრეს-მდივნის მოადგილე თეთრ სახლს ტოვებს

ტრამპის პრეს-მდივნის მოადგილე რაჯ შაჰი თანამდებობას ტოვებს. სავარაუდოდ ის გავლენიანი ლობისტური ფირმის თანამშრომელი გახდება.

ამ ფირმის კლიენტებს შორის არიან თურქეთის ბანკები, აგრეთვე ყატარის მთავრობა.

აშშ-ში ირანელი ტელეწამყვანი ქალი დააკავეს

აშშ-ში პრეს ტვ-ს წამყვანი მარზიე ჰაშემი დააკავეს. ამის შესახებ თავად ირანული ტელეარხი იუწყება.

ჟურნალისტი 13 იანვარს სენტ-ლუისის აეროპორტში დააკავეს, რის შემდეგაც ის გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლებმა ვაშინგტონში საგამოძიებო იზოლატორში გადაიყვანეს.

ჰაშემის დაკავების მიზეზები უცნობია. მისთვის ოფიციალურად არანაირი ბრალი არ წაუყენებიათ.

ტელეარხის ცნობით, აშშ-ში დაბადებული მარზიე ჰაშემი იქ თავისი ავადმყოფი ძმის მოსანახულებლად ჩავიდა. ნათესავები მას 2 დღის განმავლობაში ვერ უკავშირდებოდნენ და დაკავების შესახებ მხოლოდ შემდეგ გაიგეს.

– ვგმობთ აშშ-ის ქმედებებს. მარზიე ჰაშემი უკანონოდ დააკავეს. ამერიკული მხარის მასთან მიმართებაში ქმედებები ადამიანის უფლებების უხეში დარღვევაა. ორი დღის განმავლობაში მას შესაძლებლობა არ ჰქონდა ვინმესთან კავშირზე გასულიყო, ხოლო დაკავების შემდეგ ისე ეპყრობოდნენ, რომ მას, როგორც მუსლიმს, შეურაცხყოფას აყენებს, – განაცხადა ირანის საგარეო უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

დიდი ბრიტანეთის პარლამენტმა ბრექსიტის პროექტი ჩააგდო

15 იანვარს დიდი ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატამ ხმათა უმრავლესობით ჩააგდო ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ შეთანხმებული პროექტი, რომელიც ევროკავშირის შემადგენლობიდან დიდი ბრიტანეთის გასვლას ეხებოდა.

შეთანხმებას ხმა 202 დეპუტატმა მისცა, წინააღმდეგი კი პარლამენტის 432 წევრი წავიდა. აღსანიშნავია, რომ ასეთი დიდი ჩამორჩენით დიდი ბრიტანეთის პარლამენტის ისტორიაში მთავრობა არასოდეს დამარცხებულა.

კენჭისყრის შემდეგ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტერეზა მეიმ განაცხადა, რომ თუ ოპოზიცია მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების ინიცირებას მოახდენს, მისი კაბინეტი მზად არის, ამ საკითხის განხილვა და კენჭისყრა ჩაატაროს.

ოპოზიციური ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა ჯერემი კორბინმა კენჭისყრის შედეგებს მთავრობის კატასტროფული მარცხი უწოდა და ტერეზა მეის კაბინეტისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურა წამოიწყო.

თუ პარლამენტი მთავრობას უნდობლობას გამოუცხადებს, კონსერვატორები ორი კვირის განმავლობაში უმრავლესობის ახალი მთავრობის ჩამოყალიბებას შეეცდებიან, წარუმატებლობის შემთხვევაში კი რიგგარეშე არჩევნები გამოცხადდება.

ახლა კონსერვატორებისა და ლეიბორისტების რეიტინგები დაახლოებით ერთ ნიშნულზე, 36-41 პროცენტის დიაპაზონში მერყეობს.

ვენესუელის პარლამენტმა პრეზიდენტი მადურო უზურპატორად გამოაცხადა

ვენესუელის პრეზიდენტი ნიკოლას მადურო ქვეყნის ეროვნულმა ასამბლეამ უზურპატორად გამოაცხადა, რაც ნიშნავს იმას, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა გადაწყვეტილება უმოქმედოა.

ასამბლეის თავმჯდომარის, ხუან გუაიდოს განცხადებით, კანონმდებლების ეს გადაწყვეტილება ისტორიულია, რომელმაც მოქმედი კონსტიტუციის შესაბამისი მუხლების საფუძველზე აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციები გადაიბარა.

მიუხედავად საერთაშორისო კრიტიკისა, ვენესუელის პრეზიდენტის თანამდებობაზე ნიკოლას მადურომ ფიცი მეორედ 10 იანვარს დადო.

აშშ და 13 ქვეყანა აცხადებს, რომ მადუროს პრეზიდენტობა არალეგიტიმურია.

ვენესუელაში ანტისამთავრობო დემონსტრაციები 2017 წლის აპრილში დაიწყო. არეულობებს 120-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა. ამის გამო ოფიციალურმა ვაშინგტონმა კარაკასს სანქციები დაუწესა, ნიკოლას მადუროს აშშ-ში ყველა საბანკო ანგარიში გაუყინა და აშშ-ის მოქალაქეებს მასთან საქმიანი ურთიერთობა აუკრძალა.

ნიკოლას მადურო ვენესუელის პრეზიდენტად მეორე ვადით 2018 წლის მაისში აირჩიეს.

მადურო, რომელიც უგო ჩავესის მმართველობის დროს ვიცე-პრეზიდენტის პოსტს იკავებდა, მთავრობის სათავეში 2013 წლის მარტში, ჩავესის გარდაცვალების შემდეგ მოვიდა.

იმავე წლის აპრილში კი უკვე არჩევნებში გამარჯვებით მან ვენესუელის პრეზიდენტის პოსტი ოფიციალურად დაიკავა.

კენიაში სასტუმრო კომპლექსს თავს დაესხნენ

6 ადამიანი დაიღუპა

კენიის დედაქალაქ ნაირობიში სასტუმრო კომპლექსზე თავდასხმის შედეგად 6 ადამიანი დაიღუპა. მათ შორის 1 აშშ-ის მოქალაქეა.

ვარაუდობენ, რომ მსხვერპლთა რიცხვი კიდევ გაიზრდება.

თავდასხმა 15 იანვარს მოხდა. სასტუმროს თავს შეიარაღებული პირები დაესხნენ. მათ თავდაპირველად ასაფეთქებელი მოწყობილობა ავტომობილების პარკინგზე აამოქმედეს, შემდეგ კი ერთ-ერთმა მათგანმა სასტუმროს ჰოლში თავი აიფეთქა. თავდასხმაზე პასუხისმგებლობა სომალიში მოქმედმა დაჯგუფება ალ შაბაბმა აიღო.

მოამზადა
ნიკა თევზაძემ

მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ზურაბ დათუნაიშვილი გეგა გეგეშიძეს პირდაპირ სდებს ბრალს

თბილისის სპორტის სასახლეში საქართველოს 2019 წლის პირველობაზე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა 87 კილოგრამი წონითი კატეგორიის ფინალი ზურაბ დათუნაშვილისა და რობერტ კობლიაშვილის შორის ჩხუბითა და არეულობით დასრულდა. შედეგად, დათუნაშვილი შეჯიბრიდან მოხსნეს, ხოლო გამარჯვებულად კობლიაშვილი გამოცხადდა.

ზურაბ დათუნაშვილი, საქართველოს ნაკრების კაპიტანი, სოციალურ ქსელში განცხადებას ავრცელებს, სადაც ადასტურებს, რომ 11 იანვარს საქართველოს ჩემპიონატზე მას თავში რკინის ბლაგვი საგანი ჩაარტყა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა გეგა გეგეშიძემ, ხოლო მასთან მყოფმა პირებმა მის ძმას მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა.

მოჭიდავე მოუწოდებს ყველას, დადგნენ ერთად და მოითხოვონ, ფედერაციის პრეზიდენტმა გეგა გეგეშიძემ დატოვოს თანამდებობა.

– ჭიდაობის გულშემატკივარმა გაიგო იმ სამწუხარო ფაქტის შესახებ, რაც საქართველოს ჩემპიონატზე 11 იანვარს მოხდა და რომელსაც ჰყავს უამრავი თვითმხილველი, მათ შორის მედიის წარმომადგენლები. მოგეხსენებათ, ჩემსა და ჩემ უახლოეს მეგობარ რობერტ კობლიაშვილს შორის მიმდინარე ფინალში ორი მსაჯის მიერ ჩემ სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მესამემ დაბლოკა, რასაც ჩემი მხრიდან მოჰყვა პროტესტი. მესმის, რომ გულშემატკივრისთვის და ტელემაყურებლისთვის, შესაძლოა, რთული აღსაქმელი იყოს ჩემგან ეს ქმედება, თუმცა, როდესაც ხდები არასამართლიანი გადაწყვეტილების მსხვერპლი და შენ წლების ნაშრომს პირადი მოტივების გამო გიყრიან წყალში, დამეთანხმებით, რთულია თავის შეკავება.

ჩვენ საუბარში ჩაერივნენ ფედერაციის ხელმძღვანელი პირები, ხოლო ადამიანები, რომლებსაც არანაირი შეხება არა აქვთ ჭიდაობის ოჯახთან, თუმცა არიან ხელმძღვანელობასთან დაახლოებულნი, ჩემს ძმას, რომელიც იმ მომენტში ჩემი სეკუნდანტიც იყო, ფიზიკურად დაუპირისპირდნენ.

ამის შემდეგ უკვე თავად ფედერაციის პრეზიდენტი გეგა გეგეშიძე ჩაერია ჩხუბში და თავში ორჯერ ჩამარტყა რკინის ბლაგვი საგანი. მინდა აღვნიშნო, რომ ფიზიკური დაპირისპირება არ მომხდარა გულშემატკივარს შორის. ჩემსა და კობლიაშვილის გულშემატკივარს გასაყოფი არაფერი ჰქონდათ, უფრო მეტიც, ბევრი საერთო გულშემატკივარიც კი გვყავს. ის გულშემატკივარი, რომელიც დაპირისპირებაში ჩაერია, ასრულებდა გამშველებლის ფუნქციას და ცდილობდა, მე და ჩემი ძმა დავეხსენით იმ გაურკვეველი ჯგუფისგან, რომელიც ფედერაციას სწორედ მათთვის არასასურველ პირებთან მსგავსი მეთოდებით ანგარიშსწორებისთვის ჰყავს, – აცხადებს მოჭიდავე.

მისივე თქმით, მას და ფედერაციის წარმომადგენლებს შორის აზრთა შეუთანხმებლობა აქამდეც არსებობდა და გარკვეული ტიპის კონფლიქტს ადგილი ზაფხულშიც ჰქონდა.

„მომხდარის მიზეზი გახდა ის არასამართლიანი გადაწყვეტილებები, რასაც სამწვრთნელო შტაბი იღებდა და რაზეც მე ჩემს პოზიციას შეკრებებსა და შიდა განხილვებში ყოველთვის ღიად ვაფიქსირებდი. საქმე ეხება სამწვრთნელო შტაბის წარმომადგენლების მიერ პირადი მოწაფეების ყოლას. კერძოდ, სპორტსმენებს ხდიან იძულებულს, შეიცვალონ პირადი მწვრთნელი, ან ჩაწერონ მეორე მწვრთნელად ფედერაციაში მომუშავე რომელიმე, რითაც შემდეგ პრემიალური თანხების წილში უჯდებიან მოჭიდავეების აღმზრდელ მწვრთნელებს. ასევე, აღმზრდელი მწვრთნელები საკუთარ მოსწავლეებს თავადვე უგზავნიან ფედერაციის სამწვრთნელო შტაბს, რაც არის ჭიდაობისთვის დამღუპველი გარემოება.

აღნიშნული ფედერაციაში ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ ჩვეულებრივ პრაქტიკად იქცა. ფედერაციის პრეზიდენტის ძმა, ვლადიმერ გეგეშიძე, რომელიც ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების კონსულტანტად არის გაფორმებული, პირდაპირ ეუბნება სპორტსმენებს, რომ თუკი ამ მოთხოვნას არ შეასრულებენ, ისინი საქართველოს ჩემპიონატზე ვერ მოიგებენ ვერც ერთ შეხვედრას და, შესაბამისად, ვერ მოხვდებიან ვერანაირ საერთაშორისო ტურნირზე.

სიღრმეებში ჩასვლისა და საჯაროდ ყველა დეტალის განხილვისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებ, თუმცა მინდა ზემდგომ ორგანოებს – სპორტის სამინისტროს, ოლიმპიურ კომიტეტსა და პარლამენტის სპორტის დეპარტამენტს ვთხოვო, დაინტერესდნენ ფედერაციაში მიმდინარე მოვლენებით და გაერკვნენ სიტუაციაში დეტალურად, რადგან ბევრი მოჭიდავისა თუ დამსახურებული მწვრთნელისთვის აუტანელია ის გარემოებები, რაც ხდება.

მიმაჩნია, რომ ამდენი დუმილი მიგვიყვანს კიდევ უფრო უარეს შედეგებამდე და მივიღებთ იმაზე უფრო წარმოუდგენელ სიტუაციებს, რაც მოხდა 11 იანვარს, ქვეყნის მთავარ სპორტულ დარბაზში. როგორც იქ მყოფმა უამრავმა ადამიანმა დაინახა, ფედერაციის ხელმძღვანელობა უკვე დაუფარავად ძალადობრივი მეთოდებით უსწორდება მისთვის არასასურველ პერსონებს, ასეთი კი ნებისმიერ დროს ნებისმიერი სპორტსმენი თუ მწვრთნელი შეიძლება გახდეს. მინდა ყველას, მოქმედ და ვეტერან სპორტსმენებს, გულშემატკივარს, ფედერაციის ზემდგომ ორგანოებს მოვუწოდო, დავდგეთ ერთად და ჭიდაობის სამყაროში დავასრულოთ ის განუკითხაობა, რაც სუფევს.

ჭიდაობის მთელ ოჯახს მოვუწოდებ, დავდგეთ ერთად და მოვითხოვოთ, ფედერაციის პრეზიდენტმა გეგა გეგეშიძემ დატოვოს თანამდებობა, რათა ჭიდაობა დაუბრუნდეს ისევ ჩვენს სამყაროს და გათავისუფლდეს იმ გაურკვეველი ჯგუფისგან, რომელიც დიქტატურული მეთოდებით მართავს მას“ – წერს სპორტსმენი.

გოგა ბითაძე: „თოკოს, შერმას, მანუსა და ბოისას კალათბურთზე გავიზარდე“

ქართველი კალათბურთელი გოგა ბითაძე გამუდმებით მედიის ყურადღების ქვეშ არის. ჩვენებურთან ინტერვიუ ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის, ევროლიგის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

– ძნელად თუ გაიხსენებთ ვინმეს, ვისაც ასეთი შთამბეჭდავი პირველი თვე ჰქონდა ევროპის საუკეთესო საკლუბო ტურნირში. პოდგორიცას ბუდუჩნოსტის 19 წლის ცენტრს 18 წამი ეყო ევროლიგაზე პირველი ქულების ასაღებად თან „ენდ უანით“! საწყისი 4 მატჩის შემდეგ გოგა ბითაძეს საშუალოდ 14.8 ქულა, 6.8 მოხსნა და 3.3 დაფარება მოაქვს გუნდისთვის. მას რომ სათანადო რაოდენობის თამაშებში ჰქონდეს მონაწილეობა მიღებული, ეს მაჩვენებლები ქულებსა და მოხსნებში მეხუთე შედეგს აკმაყოფილებს, ხოლო დაფარებებით ის სულაც ლიდერი იქნებოდა!

და იქვე ინტერვიუც.

– გასულ კვირაში თქვენ პირველ საშინაო მატჩში კარიერაში პირველი გამარჯვება მოიპოვეთ ევროლიგაზე. როგორ გრძნობთ თავს?

– საშინაო მატჩში გამოსვლა ევროლიგაზე დიდი გამოცდილების მიღება იყო ჩემთვის. ერთი სული მქონდა, როდის ვითამაშებდი ბუდუჩნოსტის ფანების თვალწინ ევროლიგაზე. დარუშაფაკა ბოლო ადგილზეა, მაგრამ მას ძალიან კარგი კალათბურთელები ჰყავს. ასეთ ატმოსფეროში თამაში ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო. მოგება ხომ საერთოდ სასწაული იყო, ჩვენ ეს თავდაჯერებისთვის გვჭირდებოდა.

– 19 წლის ახალბედა რას ელოდით ევროლიგაში და როგორია პირველი შთაბეჭდილებები?

– ბავშვობიდან ვუყურებ ევროლიგას და ვიცოდი, როგორი რთული ჩემპიონატია სათამაშოდ. უშუალოდ დებიუტის შემდეგ კი მივხვდი, რომ აქ კიდევ უფრო მეტი ათლეტიზმი და ფიზიკური მზადყოფნაა საჭირო, ვიდრე ადრიატიკის ლიგაში. აქ მეტი კონტაქტია და მეტი სისწრაფე, ეს კი მე ძალიან მომწონს. ასეთია ჩემი პირველი შთაბეჭდილებები. ვამაყობ, რომ ევროლიგაში ვთამაშობ. ბოლო 2 წლის განმავლობაში მქონდა ბედნიერება, უშუალოდ მენახა ევროლიგის ოთხთა ფინალის მატჩები. ეს სრული სიგიჟეა, ერთხელ მაინც მინდა, რომ მეც ვითამაშო ამ მატჩებში, ეს ჩემი ერთ-ერთი ოცნებაა.

– საოცარი სტარტი გაქვთ, ზოგს უკვირს, ზოგს კი ნაკლების მოლოდინი არც ჰქონდა. თქვენ რას იტყვით?

– არ ვიცი, რამდენად მოეწონათ ჩემი თამაში, მაგრამ მე არანაირი ზეწოლა არ მაქვს, უბრალოდ ვთამაშობ, როგორც სხვა ტურნირებზე. ყოველ მატჩში ვცდილობ ასი პროცენტით გამოვიყენო ის შესაძლებლობები, რაც თამაშში მომეცემა. მხოლოდ ის მინდა, რომ ყოველი მატჩის შემდეგ, როცა სარკეში ჩავიხედავ, შემეძლოს საკუთარი თავისთვის იმის თქმა, რომ ყველაფერი გავიღე, რაც შემეძლო. მაგრამ, სიმართლე ვთქვათ, ასეთ სტარტს არ ველოდი. არ ვამბობ, რომ საოცრად ვთამაშობ, მაგრამ ჩემი თავით კმაყოფილი ვარ.

– მიუნხენში პირველ თამაშში, 18 წამში ჩააგდეთ ბურთი. შეხვედრა კი 17 ქულით, 7 მოხსნითა და 4 დაფარებით დაასრულეთ. რისი წყალობით შეძელით ეს?

– უმთავრესი არის მოტივაცია, როცა 100%-ით იხარჯები. ვფიქრობ, ჩემი შრომა მიფასდება. მართლაც ბევრი ვიშრომე მეგა ბიმაქსში ყოფნისას, ზაფხულში კუნთოვანი მასაც მოვუმატე, უფრო სწრაფი თამაშიც შევძელი. რა თქმა უნდა, ჩემი თანაგუნდელების დახმარების გარეშე ამ ყველაფერს ვერ მივაღწევდი.

– სეზონის შუაში გუნდის გამოცვლა ვეტერანებისთვისაც კი რთულია, ვინ დაგეხმარათ აკლიმატიზაციის მალე გავლაში?

– ამის მიზეზი ჩემი ახალი გუნდელებია. ბუდუჩნოსტი კარგი გუნდია – ადრიატიკის ლიგის ჩემპიონი. რა თქმა უნდა, პირველ დღეებში გამიჭირდა. ახლაც არ არის იოლი, მაგრამ გუნდელები და მწვრთნელი მეხმარებიან. ჩემი საქმე მხოლოდ თამაშია.

– თქვენ და ნორის კოული ერთად მიხვედით გუნდში, რომელმაც მოაგებინა გუნდს ბოლო მატჩში, რას იტყვით მასზე?

– ნორისი ნბა-ს ორგზის ჩემპიონია, მგონი, ესეც საკმარისია სათქმელად. მას უდიდესი გამოცდილება აქვს, ბრწყინვალე ბიჭი და საუკეთესო გუნდელია. ჩემთვის ასეთ გამოცდილ კალათბურთელთან ერთად ყოფნა ბევრს ნიშნავს. ის უკვე მაძლევს საჭირო რჩევებს. ნორისი დიდებული გამთამაშებელია და ხმამაღალი შეძახილებით აიძულებს ყველას, აკეთოს თავისი საქმე. ვფიქრობ, მას კიდევ უკეთ შეუძლია თამაში.

– ევროლიგაში ბევრ ქართველს უთქვამს თავისი სიტყვა – თორნიკე შენგელიას, ვლადიმერ ბოისას, მანუჩარ მარკოიშვილს, გიორგი შერმადინს... ახლა თქვენ ხართ მათ ნაკვალევზე.

– მათ თამაშებზე გავიზარდე, მსურდა მათსავით მეთამაშა ევროლიგაში. ახლა კი ჩვენ ერთად ვართ ეროვნულ ნაკრებში. სოციალურ ქსელში მათ უკვე გამოხატეს მხარდაჭერა ჩემ მიმართ. ისინი ყოველთვის მეხმარებიან. ამ ბიჭებმა ძალიან ბევრი გააკეთეს ქართული კალათბურთისთვის. მათი დამსახურებაა, რომ მსოფლიომ გაიცნო ქართული კალათბურთი. თოკო ძალიან მაგარია, შერმადინს კი ევროლიგა მოგებული აქვს. ორივე დიდებული ადამიანია. მანუ, ჩემი აზრით, ყველაზე საოცარი ადამიანია, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ. ბოისა ახლა ფედერაციაში მუშაობს და მასთან დარეკვა ნებისმიერ დროს შემიძლია. ყველას ოჯახის წევრებივით აღვიქვამ.

– თქვენ 16 წლის ასაკში დატოვეთ ქვეყანა და სერბეთში კალათბურთის სათამაშოდ გადახვედით.

– თავიდან რამდენიმე თვე გამიჭირდა. შორს ოჯახიდან და მეგობრებისგან, ცუდი სიტუაცია იყო ჩემთვის. მერე შევეგუე, რაღაც უნდა გაწირო იმისთვის, რომ მეტს მიაღწიო ცხოვრებაში. მეგა ბიმაქსმაც ჩემთან ძალიან კარგად იმუშავა. იქ ჩავედი ერთი ცოტა მსუქანი ბიჭი, რომელსაც ფარქვეშ თამაშის წარმოდგენა არ ჰქონდა და მხოლოდ შორიდან ისროდა. მივედი იქ ბავშვი და დავტოვე მეგა ბიმაქსი, როგორც კაცმა. ეს მათი დამსახურებაა.

– შემდეგ მატჩში ბუდუჩნოსტი რეალს მასპინძლობს. რა განწყობით ელით ჩემპიონს პოდგორიცაში?

– გიჟური თამაში იქნება. ძალიან ყურადღებით უნდა ვიყოთ. რეალი მაგარი გუნდია, მაგრამ პოდგორიცაში თამაშებისას ისეთი ატმოსფეროა, რომ წინასწარ მოგებას ვერავინ დაგეგმავს. ჩემმა გუნდელებმა ეს ამ სეზონში ერთხელ უკვე დაამტკიცეს, როცა ცსკა, ბასკონია და ბარსელონა დაამარცხეს. შარშან ბელგრადში მაყურებლის სტატუსით ვუყურებდი მათ თამაშებს ფინალურ ოთხეულში და ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ერთ წელიწადში რეალის წინააღმდეგ თამაში მომიწევდა. შანსი მაქვს და უნდა გამოვიყენო, მოედანზე 100 პროცენტით დავიხარჯები.

– რას ველოდოთ ბუდუჩნოსტისგან ამ სეზონში?

– მიუხედავად ჩვენი სატურნირო მდგომარეობისა, უკვე ვაჩვენეთ, რომ კარგი გუნდი ვართ. ახლა ბევრი ახალი კალათბურთელი და ახალი მწვრთნელი გვყავს, რის გამო ჯერ კიდევ გვაკლია შეთამაშება. ნებისმიერი გუნდის წინააღმდეგ შეგვიძლია თამაში! ცოტა იღბალიც და ბაიერნთან და მაკაბისთან საგარეო მატჩებსაც მოვიგებდით. ბევრი თამაში დარჩა ჯერ კიდევ, ჩვენ არ ვნებდებით. რაც შეიძლება მეტი გუნდი უნდა დავამარცხოთ.

ბასილაშვილი იგებს და იგებს

მელბურნის კორტებზე, ნიკოლოზ ბასილაშვილს, კრისტოფერ ეუბანსკთან მოსაგებად თუ 4 სეტის თამაში დასჭირდა, მეორე წრეში სტეფანო ტრავალიასთან მან ქართველი გულშემატკივარი ცოტათი ანერვიუღა და მეტოქე 5 პარტიაში დაამარცხა.

ქართველი ჩოგბურთელი, იტალიელთან სეტებში სულაც 1:2 ჩამორჩა, თუმცა შემდეგ ძალები მოიკრიბა და საბოლოოდ ტრავალიას 3:6, 6:3, 3:6, 6:4, 6:3 აჯობა. აქამდე, ბასილაშვილი და ტრავალია ერთმანეთს არ შეხვედროდნენ და, შესაბამისად, ურთიერთშეხვედრებშიც ჩვენებური დაწინაურდა.

მატჩის სტატისტიკას თუ ჩავხედავთ, ჩოგბურთელებმა კორტზე თითქმის 3 საათი გაატარეს. ბასილაშვილმა 9 ეისი მოაწოდა და 7 ბრეიქი შეასრულა.

ამრიგად, ნიკოლოზ ბასილაშვილი ავსტრალიის ღია პირველობის მეთექვსმეტედფინალშია, სადაც მისი მეტოქე ბერძენი სტეფანოს ციციპასი იქნება.

ფეხბურთი

15 იანვარი

ფეხბურთი

ესპანეთი. სამეფო თასი

ვალიადოლიდი-ხეტაფე 1:1

საფინალეთი. 1 ღიგა

ანჟე-ბორდო 1:2

საატუნინიო ცხრილი:

1.პსჟ	18	16	2	0	53-10	50
2.ლილი	20	11	4	5	32-20	37
3.ლიონი	19	9	6	4	31-22	33
4.სტ.ეტიენი	19	9	6	4	29-22	33
5.მონპელიე	19	8	7	4	26-16	31
6.სტრასბური	20	7	8	5	32-24	29
7.რენი	19	8	5	6	28-25	29
8.ნიცა	19	8	5	6	14-17	29
9.მარსელი	18	8	4	6	31-27	28
10.რეიმსი	20	6	9	5	16-19	27
11.ბორდო	19	6	7	6	22-22	25
12.ნანტი	19	6	5	8	26-26	23
13.ნიმი	18	6	5	7	26-28	23
14.ტულუზა	19	5	6	8	18-29	21
15.ანჟე	19	4	8	7	21-24	20
16.კაენი	20	3	9	8	20-28	18
17.ამიენი	20	5	3	12	17-34	18
18.დიჟონი	19	4	5	10	17-32	17
19.მონაკო	19	3	5	11	17-30	14
20.გენგამი	19	2	5	12	14-35	11

საფინალეთი. მე-2 ღიგა

ლე ავრი-ვალანსიენი 4:3

მოამზადა მახეილ ჟორჟოლიანმა

ფიფა ქართული ფეხბურთის ზრდას ამჩნევს

ფიფამ ქართულ ფეხბურთში მიმდინარე პროცესებს საინტერესო მასალა მიუძღვნა. ფიფას წერილი ქართული ფეხბურთის ისტორიის სათავეებით იწყება და დღემდე მიმდინარე პროცესებამდე გრძელდება..

– მეოცე საუკუნის დასაწყისში ინგლისელმა მეზღვაურებმა ფოთის პორტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობას ლამაზი თამაში – ფეხბურთი გააცნეს. მას შემდეგ საქართველოს 5-მილიონიან მოსახლეობაში ფეხბურთის ფანების რიცხვი იზრდება.

1990 წლამდე ქართველებს საკუთარი ეროვნული გუნდი არ ჰყავდათ, მათი ვარსკვლავები

საბჭოთა კავშირის ნაკრებში თამაშობდნენ. დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მსოფლიო ფეხბურთის დინამიკური და აქტიური წევრია, რომელიც ამ სპორტის სახეობას შესანიშნავად ავითარებს.

ბოლო წლებია სფფ სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებასა და განახლებაზე მუშაობს, მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაშიც ფიფას განვითარების პროგრამა მხარს დიდი ძალებით უჭერს.

ამბიციური მიზნის მისაღწევად, პირველი ნაბიჯი რუსთავის რეგიონული ტექნიკური ცენტრის განახლებით გადაიდგა, რომელიც სიდიდით საქართველოს მეხუთე ქალაქია და თბილისიდან 30 კილომეტრითაა დაშორებული. ტექნიკური ცენტრი საერთაშორისო სტანდარტებით კეთილმოეწყო და დამონტაჟდა როგორც მოედნის, ასევე გარე პერიმეტრის განათებები.

დამატებით სხვა ელექტროსისტემები დაემატა, მაგალითად, სრულმასშტაბიანი საფეხბურთო მოედნები. დღევანდელ საფეხბურთო სამყაროში ადეკვატური და სიცოცხლისუნარიანი განათებები საფეხბურთო მოედნისთვის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია სტადიონის საერთაშორისო სტანდარტებში მოსაქცევად. ეს საშუალებას აძლევს ნებისმიერი ასაკის ფეხბურთელს, უსაფრთხოდ და ეფექტურად ივარჯიშოს.

2018 წელს საქართველო გახდა პირველი გუნდი, რომელმაც უეფას ერთა ლიგის ჯგუფური ეტაპი გამარჯვებით დაასრულა. მათ ტურნირის ისტორიაში პირველი გოლი ყაზახეთს გაუტანეს. ეს წარმატება, ნაწილობრივ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თითოეული წევრის შრომასაც მოჰყვა. ამ პროცესში ინფრასტრუქტურის როლი უმნიშვნელოვანესია.

საეჭვო არ არის, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია და საქართველოს ნაკრები და მისი მომავალი თაობა გრძელვადიან პერსპექტივაში ამ შრომიდან დიდ სარგებელს მიიღებს.

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

საშობაო საჩუქარმა სტუდენტს 125 ათასი დოლარი მოუტანა

შობაზე ნაჩუქარმა ლატარიის ბილეთმა სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტს მსხვილი მოგება მოუტანა.

შობის ოჯახური აღნიშვნის დროს ბებიამ თითოეულ შვილიშვილს ორ-ორი ლატარიის ბილეთი აჩუქა. კოლინ გოფისთვის ნაჩუქარი ერთ-ერთი ბილეთი მომგებიანი აღმოჩნდა. სტუდენტის მოგებამ 125 ათასი დოლარი შეადგინა.

გასულ წელს გოფმა ტვინზე ოპერაცია გადაიტანა. მას იმედი აქვს, რომ წელი, რომელიც მისთვის მოგებით დაიწყო, გაცილებით წარმატებული იქნება.

– ვიცი, რომ ჩემთვის არაფერი შეიცვლება, უბრალოდ, მახარებს, რომ 2019 წელი ასე კარგად დაიწყო, – აღნიშნა მან.

ნიანგმა ბიოლოგი ქალი ვოლიერში შეითრია და ცოცხლად შეჭამა

ინდონეზიაში ბიოლოგი ქალი ნიანგმა ცოცხლად იმ დროს შეჭამა, როდესაც ეს უკანასკნელი მისთვის საკვების მიცემას აპირებდა.

ტრაგიკული შემთხვევა ჩრდილოეთ სულავესის პროვინციის ქალაქ ტომოხონში მდებარე ერთ-ერთ ლაბორატორიაში მოხდა. 44 წლის დიზი ტუვო ნიანგის, სახელად მერის, ვოლიერში ხორცის ნაჭრებს ყრიდა და ამ დროს ის ღობესთან მეტისმეტად ახლოს მივიდა. პოლიციის ვერსიით, ხუთმეტრიანი რეპტილია უკანა თათებზე აიწია ორმეტრნახევარ სიმაღლეზე ახტა, მსხვერპლს პირი სტაცა და ვოლიერში გადაათრია.

როდესაც ტუვოს კოლეგები ლაბორატორიაში მივიდნენ, მათი ყურადღება ნიანგის ვოლიერში უცნაურმა ობიექტმა მიიპყრო. გუბურის ნაპირზე იწვა ნიანგი, რომელსაც პირი ქალის დამახინჯებული ცხედრისთვის ჰქონდა ჩავლებული. მათ მაშინვე მაშველები გამოიძახეს და მათ რეპტილიისთვის ქალის ცხედრის წართმევა მოახერხეს. ამის შემდეგ მათ ნიანგი დაიჭირეს და ვეტერინარულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ექიმებს მის კუჭში არსებული ნარჩენების გამოკვლევა მოუწევთ.

ლაბორატორიის თანამშრომლების თქმით, ადრე მერი სხვა ნიანგებს ესხმოდა თავს, თუმცა ადამიანების მიმართ აგრესია არასოდეს გამოუვლენია. მას რეგულარულად აძლევდნენ ახალ ხორცს, ქათამსა და თევზს.

რაც შეეხება ტუვოს, ის ლაბორატორიის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი იყო, რომელსაც ძალიან უყვარდა ცხოველები.

ცხოველთა დამცველები ფარულად ძაღლებს ხოცავდნენ

სამხრეთკორეული ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის ხელმძღვანელ პარკ სო იონს სრულიად ჯანმრთელი ძაღლების დახოცვის ბრალდება წაუყენეს, რასაც იმისთვის აკეთებდა, რომ ცხოველთა თავშესაფარში ადგილი გამოეთავისუფლებინა და ახალი შემოწირულობები მიეღო.

ორგანიზაციის თანამშრომლების თქმით, ხელმძღვანელმა მათ 230-ზე მეტი ძაღლის მოკვლა დაავალა, რომლებიც მანამდე სახორცე ფერმიდან წამოიყვანეს და დაკვლას გადაარჩინეს. მათი მტკიცებით, ამ ძაღლების მხოლოდ მეათედი იყო დაავადებული განუკურნებელი სენით, ხოლო დანარჩენები სრულიად ჯანმრთელები იყვნენ და ისინი უბრალოდ ადგილის გასათავისუფლებლად დახოცეს. ამ დროს კი საბუთებში ეწერა, რომ ცხოველები მათმა ახალმა პატრონებმა წაიყვანეს.

ორგანიზაციის თანამშრომლებმა ხელმძღვანელის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაცია შემოწირულობებს სახორცე ფერმებიდან წამოყვანილი და გადარჩენილი ძაღლების გამო იღებს. ამიტომ ორგანიზაციას მუდმივად უწევს მსგავსი ოპერაციების ჩატარება, რათა ახალი თანხები მოიზიდოს. ყოველ წელს ორგანიზაცია დაახლოებით ორ მილიარდ ვონს იღებს.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის პრეზიდენტი მუნ ჩჟი ინ ორგანიზაციის ერთ-ერთი სპონსორია. 2017 წელს ის ცხოველთა თავშესაფარს ეწვია და იქიდან შავ-თეთრი შეფერილობის ლეკვი წამოიყვანა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ეგვიპტელი გოგონა საქმროსთან ჩახუტებისთვის უნივერსიტეტიდან გარიცხეს

ეგვიპტეში გოგონა უნივერსიტეტიდან იმ ვიდეოს გამო გარიცხეს, რომელზეც ის ეხვევა ახალგაზრდა მამაკაცს, რომელმაც მას ხელი სთხოვა.

ეგვიპტის ქალაქ ელ-მანსურში მდებარე მანსურის უნივერსიტეტის მახლობლად გადაღებულ კადრებში მამაკაცი სტუდენტი გოგონას წინ მუხლებზე დგება, მას ყვავილების თაიგულს გადასცემს, შემდეგ კი ეხვევა.

აღნიშნულმა ვიდეომ ეგვიპტის სოციალურ ქსელებში პოპულარობა მოიხვეჭა და ალ-აზხარის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ყურადღება მიიპყრო, რომელშიც გოგონა სწავლობდა. მალე სასწავლო დაწესებულების დისციპლინარულმა საბჭომ სტუდენტი გოგონას გარიცხვის გადაწყვეტილება მიიღო.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის თქმით, ქალისა და მამაკაცის ჩახუტება, რომლებიც ქორწინებაში არ იმყოფებიან, ეგვიპტის საზოგადოების ღირებულებებსა და პრინციპებს ეწინააღმდეგება. მისი მტკიცებით, ვიდეომ აღშფოთება გამოიწვია და ალ-აზხარი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, რაც გოგონას უნივერსიტეტიდან გარიცხვის მიზეზი გახდა.

გოგონას აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვს. სასჯელი ელის მამაკაცსაც, რომელსაც უახლოეს დღეებში გამოუტანენ მანსურის უნივერსიტეტის დიციპლინარულის საბჭოს სხდომაზე, სადაც ის სწავლობს.

კენგურუს კასტეტით ცემისთვის ბაიკერი ციხეში აღმოჩნდა

ავსტრალიაში პატიმრობა მიუსაჯეს 22 წლის დილან ლესლი გრიფინს, რომელმაც კენგურუს კასტეტით სცემა, შემდეგ კი ცხოველს თვალში ესროლა.

გრიფინის ადვოკატებმა განაცხადეს, რომ ის ვიქტორიას შტატში ბაიკერების ბანდაში იზრდებოდა. კენგურუზე თავდასხმამდე მცირე ხნით ადრე, მისი ბიძა და ახლო მეგობარი დაიღუპნენ. იურისტების თქმით, ახალგაზრდა ძალიან განიცდიდა ამ დანაკარგს და შესაძლოა დეპრესიაში იმყოფებოდა. მოსამართლემ, რომელიც საქმეს განიხილავდა, აღნიშნა, რომ ეს ცხოველის მიმართ სასტიკ მოპყრობას არ ამართლებდა.

კენგურუს ცემისა და მკვლელობის დანაშაულის აღიარების შემდეგ გრიფინს 11 თვით პატიმრობა შეუფარდეს. თავდასხმის კიდევ ორი მონაწილე უკვე იხდის სასჯელს, ხოლო მესამე სასამართლოს წინაშე ივლისში წარდგება.

ასტროპრომნოზი
17 იანვრისათვის

ვერძი – კეთილისმყოფელი დღეა კომერციული საქმიანობისათვის. საპირისპირო სქესთან ურთიერთობისას მეტი თავშეკავება გმართებთ. **კურო** – შემოქმედებითი აქტიურობა გაამართლებს. ემოციებს არ აჰყვეთ. **ტყუპები** – ახალი იდეების განხორციელება სასიკეთო შედეგს გამოიღებს. ძველი პრობლემების მოგვარებასაც ნუ გადადებთ. **კირჩხიბი** – მივლინებაში, სამოგზაუროდ წასვლა სასურველი არ არის. გარშემომყოფები თქვენ მიმართ სითბოს ავლენენ. **ლომი** – ტრავმების მიღების ალბათობა დიდია. ჯანმრთელობას მაქსიმალურად გაუფრთხილდით. იზრდება გულსისხლძარღვთა დაავადებების გამწვავების რისკი. **ქალწული** – ახლობლებთან ურთიერთობა გეძაბებათ. გამორიცხული არ არის მწვავე კონფლიქტი. **სასწორი** – ყურადღებით იყავით და იოლად არავის მიენდოთ. ცრუ დაპირებების გაცემა არ არის საჭირო. **ღრმანაქალი** – ეცადეთ, ადრინდელი უარყოფითი ემოციებისაგან მალე გათავისუფლდეთ. ახალი ნაცნობობა სასიკეთო იქნება. **მშვილდოსანი** – შემოქმედებით სფეროში ბედი გწყალობთ. კონფლიქტური ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. **თხის რქა** – ზედმეტად ნუ დაიტვირთებით. მსუბუქი საქმე აკეთეთ. იკვებეთ ჯანსაღად. **მერწყული** – სუფთა ჰაერზე ხანგრძლივი სეირნობა ფსიქოემოციურ მდგომარეობას საგრძნობლად გამოგიკეთებთ. არ დაივიწყოთ ახლო მეგობრები. **თევზები** – ვნებები მოთოკეთ. დაუფიქრებლობა და სპონტანურობა გავნებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ცხენოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა; 2. კუთხე საქართველოში; 3. ამერიკელ ინდიელთა ნადირის ტყავის რბილი ფეხსაცმელი; 4. ჩინური ნავთობკომპანია; 7. ტკბილეულის დამზადების ოსტატი; 8. იტალია-შვეიცარიის დამაკავშირებელი საავტომობილო-სარკინიგზო გვირაბი; 12. სტაფილოში არსებული პიგმენტი; 14. გზაგამტარი ჩქაროსნულ ავტობანზე; 16. ქალაქი იმერეთში; 17. თეატრის ძველი ქართული სახელწოდება; 19. ბრიტანული ტაქსი; 20. ქალაქი ჩეხეთში.

თარაზულად: 5. საქართველოს ნაკრებისა და დონეცკის „შახტარის“ ფეხბურთელი; 6. შვეციის დედაქალაქი; 9. ტბა შვეიცარია-იტალიის საზღვარზე; 10. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 11. ფულის ერთეული ყაზახეთში; 13. დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი; 15. ძველბერძენი დრამატურგი; 18. წყალბადისა და ჟანგბადის ქიმიური ნაერთი; 21. აეროპორტი ბრიუსელში; 22. მწერალ კონდრატე თათარაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 23. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. არმანიაკი; 6. პლასტუნი; 7. ინსაიდი; 9. ლანსიე; 10. მინა; 11. კასტეტი; 13. რაფია; 15. პარიკი; 17. ნიტრონი; 18. კიმონო; 19. აპათია; 20. მარადია.

შვეულად: 1. არიოზო; 2. იუდა; 3. პლასტრონი; 4. მუარი; 5. ნირვანა; 8. არხარი; 9. ლიტურგიკა; 12. მარინა; 14. ფინეთი; 16. ინოლა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბასტურმა; 2. ქარვა; 3. ბრიუსელი; 4. ყოჩები; 7. ვისკი; 9. ბრიჯი; 12. ულტიმატუმი; 14. ხარება; 15. ჰიპნოსი; 17. კუმურდო; 20. ჯეზვე.

თარაზულად: 5. გაბრიაძე; 6. ვეროკიო; 8. ბავარია; 10. პეკინესი; 11. ამქარი; 17. ენისელი; 16. ნიკოლაძე; 18. სუომი; 18. ოპუსი; 21. უემბლი; 22. ასკურავა; 23. ტანდემი.

ნიკა გვარამია: „საქართველოს ვარსკვლავი“ რუსთავი 2-ის პროექტი იყო“

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია აცხადებს, რომ „საქართველოს ვარსკვლავი“ რუსთავი 2-ის პროექტი იყო და ის მოიპარეს:

– ბევრმა მკითხა და ჯობია საჯაროდ განვმარტო:

„საქართველოს ვარსკვლავი“ რუსთავი 2-ის პროექტი იყო წლების განმავლობაში. სამწუხაროდ, ის მოგვპარეს და ახლა საზმაუზე გადის და ძველ ქართულ ფილმებზე ნაკლებ რეიტინგს წერს 2%-ს, რაც რუსთავი 2-ზე 20%-ის მქონე პროექტისთვის კატასტროფული ჩავარდნაა.

ახლა რაც შეეხება შეკითხვას ტრანსგენდერ მონაწილესთან დაკავშირებით. აქ პროექტის მესვეურებს ნამდვილად არ დაურღვევიათ პროექტის წესები. ოქროს ბარათი არ ნიშნავს ათეულში მოხვედრას. მეტიც, ის მეორე ტურში, ე.წ. განხილვის ტურში მოხვედრის გარანტიაც არაა. კიდევ მეტი, შეიძლება ეთერშიც ვერ მოხვდეს, თუ პროექტის გუნდი ასე გადაწყვეტს. ასე რომ, ტრანსგენდერი მონაწილის მხოლოდ არგადასვლა სრულიად შეესაბამება პროექტის წესებს და არ შეიცავს დისკრიმინაციის ელემენტებს. ამაზე მეტი თუ რამე მოხდა, ჩემთვის უცნობია.

ცხადია, ტრანსგენდერი მონაწილის ფინალში გადაყვანას გამბედაობა სჭირდება. სატელევიზიო ინტერესის თვალსაზრისით, მისი არგადაყვანა დიდი შეცდომაა, მით უფრო, რომ ანასტასია პირველი არა მხოლოდ ტრანსგენდერი, არამედ ძალიან კარგი მომღერალი და ნუცას სკოლის გამარჯვებულია. ასე რომ, მისი არგადაყვანა „ტელევიზიონშიკური“ თვალსაზრისით, პროექტის და მისი პროდიუსინგის სრული კრახია. იგივე პროდიუსერები ამას რუსთავი 2-ზე არავითარ შემთხვევაში არ იზამდნენ. კონკურსანტმაც უნდა იცოდეს, სად მიდის და რომელ არხზე. რუსთავი 2-ზე ძაან გვინდოდა მისი ხილვა ჩვენს პროექტში, მაგრამ მან აირჩია საზმაუ. ხოდა ისეა, როგორცაა.

ელდარ შენგელაიას „სავარძელს“ იაპონური მედია ეხმაურება

85 წლის ქართველი კინორეჟისორის ელდარ შენგელაიას ერთ-ერთი ბოლო ფილმი „სავარძელი“ იაპონიის კინოთეატრებში გადის.

ქართველი რეჟისორის ნამუშევარს იაპონური პრესა აქტიურად ეხმაურება. ტოკიოს ერთ-ერთმა ყველაზე მრავალტირაჟიანმა და კითხვადმა გაზეთმა „იომიური“ ვრცელი სტატია მიუძღვნა:

– ქართული კინოს ვეტერანის, ამჟამად 85 წლის კინორეჟისორ ელდარ შენგელაიას ახალი ფილმი, რომელიც 21 წლის პაუზის შემდეგ გადაიღო, თავისუფალი იუმორით აღსავსე ბურლესკური კინონაწარმოებია. მთავრობის მაღალ პოსტზე დანიშნული კაცის ცხოვრების გადატრიალებით გამოიხატება, რომ ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია არც თანამდებობა და არც ფუფუნებაა.

შეიძლება ნაჩქარევად იფიქროთ, ეგეთი ამბავი უკვე მობეზრებული გვაქვს-თქო, მაგრამ აუცილებლად გაგიკვირდებათ, როცა ნახავთ, მოქნილი და თავისუფალი გამოსახულება, რომელშიც ბუნებრივად შერწყმულია რეალობა და ზე-რეალობა.

მოყოლის მანერა მსუბუქია და თითქოს უცნაურიც, მაგრამ გულში ღრმად ჩაგწვდებათ.

მთავარი გმირი გიორგი, რომელსაც ნიკა თავაძე ასრულებს, მდიდრული ცხოვრებით უზრუნველყოფილია, როგორც „ლტოლვილთა მისვლა-მოსვლის მინისტრი“. მიუხედავად იმისა, რომ ცოლი დაკარგა და ზრდასრულ ქალიშვილს კარგად ვერ ეწყობა, გრანდიოზულ სახლში საყვარელ ვაჟიშვილსა და გარდაცვლილი ცოლის დასთან ერთად ცხოვრობს. სახლში მოსამსახურე ცოლ-ქმარიც ჰყავს.

მინისტრის კაბინეტში დგას ახლად შეძენილი სავარძელი, რომელზე ჯდომაც მეტად სასიამოვნოა. სავარძელი საოცრად მრავალფუნქციურია და ერთი ღილაკის დაჭერით მაღლა ცაში აჰყავს გიორგი და სიტყვა სიტყვით ფრთებს ასხამს.

მაგრამ სიტუაცია იცვლება მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრის მითითებით გიორგი შეუდგა ლტოლვილების გაძევებას. მას ერთი ნახვით შეუყვარდა ყოფილი მევიოლინე დონარა, რომელსაც აიძულებდნენ გადასახლებას. მერე არჩევნებზე ოპოზიციამ გაიმარჯვა...

კინორეჟისორ ელდარ შენგელაიასთვის დამახასიათებელია მწარე სატირა და დახვეწილი იუმორი. იგი აკარიკატურებს თანამდებობებსა და ფულზე ბრძოლის უმსგავსობას და ამავე დროს შუქს ჰფენს ცხოვრების იდეალს.

ვენახებით დამშვენებულ მშობლიურ სოფელში მცხოვრები გიორგის დედა და სხვა ადამიანები ღვინის დაყენების ძველ ტრადიციას მისდევენ და მეგობრობასა და სიყვარულში დროს ატარებენ. მთლად თავქარიანები არ არიან ახალგაზრდა თაობაც, როგორც გიორგის ქალიშვილი, რომელიც თავისუფლების მოყვარულია.

თითქოს მოძველებული თემა გამოცოცხლებულია ალბათ იმიტომ, რომ ფილმს საფუძვლად უდევს რეჟისორის რეალური გამოცდილება. იგი დიდხანს იბრძოდა ქართული კინოს თავისუფლებისა და უფლებებისთვის და მას შემდეგ, რაც საქართველომ საბჭოთა კავშირიდან დამოუკიდებლობა მოიპოვა, პოლიტიკაშიც მოღვაწეობდა. ფილმში რეჟისორი საკუთარ გამოცდილებასა და ქვეყნის რეალობას პირდაპირ არ აჩვენებს, არამედ ეკრანზე მშვენივრად აფორმებს წარმოდგენისა და გამოხატვის ულევი ძალით.

მეორე მთავარი გმირია გიორგის სავარძელი, რომელიც თავისი ნებით იქით-აქეთ დადის. დროდადრო გვეჩვენება, თითქოს კარგი ვიღაცაა, მაგრამ ის სიმბოლოა ძალაუფლებისა და მის სხვადასხვა მხარეს შთამბეჭდავად გადმოგვცემს. აფორიზმებსაც გვეუბნება. ფილმი ამით მკვეთრად გამოირჩევა ცხოვრების გულუბრყვილო ხოტბისაგან და მას სიღრმეს ანიჭებს.

კახი კავსაძემ „მრავალჟამიერი“ ექსპრომტად იმღერა



რუსთაველის თეატრის მსახიობმა კახი კავსაძემ „მრავალჟამიერი“ ექსპრომტად იმღერა.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში გამართულ კონცერტზე სრულიად მოულოდნელად კახი კავსაძე სცენაზე ავიდა და პატარა მომღერლებთან ერთად „მრავალჟამიერი“ დააგუგუნა.

კახი კავსაძის სიმღერას და სცენაზე ასვლას დარბაზში მყოფი საზოგადოება ტაშით და ოვაციებით შეხვდა.

83 წლის მსახიობი კვლავაც ფორმაშია. მისმა ნამღერმა გულგრილი არ დატოვა დამსწრეები და სიმღერის დასრულების შემდეგ, პატარა მომღერლებიც და მსახიობიც ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა.

თემო საჯაიას თბილისში ლადო ასათიანის ძეგლის დადგმა სურს

მომღერალ თემო საჯაიას თბილისში, რუსთაველის გამზირზე პოეტ ლადო ასათიანის ძეგლის დადგმა სურს:

– წლების წინ გამიჩნდა იდეა, რომ რუსთაველის გამზირზე, დაახლოებით ქაშუეთსა და ცისფერ გალერეას შორის, ფეხით მოსიარულეთა ტროტუარზე დაედგათ ლადო ასათიანის ძეგლი, ლადო რომელიც მისეირნობს, ნაბიჯგადადგმული.

კარგი იქნება, თუ თბილისის მერიაში დაფიქრდებიან ამ პროექტზე. იდეა კი მის ერთ-ერთ ბოლო ნატვრას და ცნობილ ლექსს დაუკავშირდება:

„რუსთველის პროსპექტზე სიარული ნუ მომიშალოს ღმერთმა, ვიყო მუდამ ასე მხიარული, ქართველი პოეტი მერქვას. პურის ნატეხი და ერთი ლიტრი ღვინოი, სიმდიდრედ ჩამითვალეთ, თუ მეტი ვინატრო ან ეს ვითაკილო, – ვერ ვნახო სამოთხის მთვარე... მხოლოდ დროდადრო დამარეტიანოს ქაშვეთის შემოხედვამ – რუსთველის პროსპექტზე ხეტიალი ნუ მომიშალოს ღმერთმა!“

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

მურად ანჯაფარიძის გახსენება

ჩვენო ძვირფასო მურად, ერთი წელი შესრულდა, რაც შენ წახვედი ამ ქვეყნიდან და დაგვიტოვე მოუშუშებელი ტკივილი, მწუხარება, სიცარიელე, რომელსაც ვერაფერი ამოავსებს.

შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. მარად ცოცხალი დარჩები ჩვენს გულებში, როგორც გამორჩეული, თბილი, კეთილი, მოსიყვარულე, ალალმართალი და სტუმართმოყვარე ადამიანი.

იყავი სამაგალითო მეუღლე, მამა და ბაბუა. ყველას გვენატრება შენი სათნო ღიმილი, გვაკლიხარ, გვიმძიმს უშენობა.

მოვდივართ შენს საფლავზე მათთან ერთად, ვისაც უყვარდი და დღესაც უყვარხარ. ცრემლითა და ყვავილებით, სანთელ-საკმეველით ვეფერებით შენს მომღიმარ სურათს და უფალს შევთხოვთ, არ მოგაკლოს ღვთიური მადლი, ნათელში ამყოფოს შენი სული სამუდამო სასუფეველში.

უსაზღვროდ გვიყვარხარ, გვენატრები, გვაკლიხარ.

შენი გარდაცვალებით დამწუხრებული თანაკლასელები

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

დუბაის რესტორანში საჭმლის დატოვებისთვის მომხმარებლებს დააჯარიმებენ

არაბთა გაერთიანებულ საემიროებში გამოჩნდა რესტორანი, რომლიცმომხმარებლებს შეკვეთილი სადილის ბოლომდე არ მირთმევის გამო დააჯარიმებენ.

დაწესებულება სახელწოდებით Gulon Hotpot-ი დუბაიში მდებარეობს. თუ მომხმარებელი შეუკვეთავს 49 დირხამის ღირებულების სადილს, ის ვალდებული იქნება, სადილი ბოლომდე შეჭამოს.

თუ სადილი ბოლომდე არ იქნება შეჭმული, მომხმარებელი ვალდებული იქნება, კიდევ 50 დირხამი გადაიხადოს.

რესტორნის ხელმძღვანელობის განცხადებით, მათ ამით სურთ, კლიენტები აიძულონ, უფრო შეგნებულად მიუდგნენ სადილის არჩევას და ნარჩენები შეამცირონ.

მეტროს მგზავრმა ათი ათასი დოლარი იპოვა და მის მფლობელს დაუბრუნა

ყაზახ ქალბატონს, რომელსაც ნიუ-იორკის მეტროში 10 ათასი დოლარი დარჩა, დაკარგული ფული დაუბრუნეს.

გასული წლის ბოლოს ნიუ-იორკის მკვიდრმა რიჩარდ ტავერნამ მეტროში შანელის ფირმის დაკარგული ხელჩანთა იპოვა, რომელშიც 10 ათასი დოლარი იდო, და ის პოლიციაში მიიტანა. მისი თქმით, ეს სწორი საქციელი იყო.

– სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ უმრავლესობა ასევე მოიქცეოდა, – განაცხადა მამაკაცმა.

რამდენიმე კვირის შემდეგ ტავერნას დაურეკეს და ჩანთის პატრონთან შეხვედრა შესთავაზეს. ის ყაზახეთის მოქალაქე აია ტულემაგანბეტოვა აღმოჩნდა, რომელიც ნიუ-იორკულ კომპანია აღფა კონსალტინგ გრუპს ხელმძღვანელობს. ქალმა განმარტა, რომ ფული ბავშვების საჩუქრების შესაძენად იყო განკუთვნილი. მისი მტკიცებით, ამდენი თანხა თან იმიტომ მიჰქონდა, რომ ყაზახეთში საბანკო ბარათით გადახდა ხშირად შეუძლებელია.

მადლიერების ნიშნად ტულემაგანბეტოვამ მამაკაცს „ოქროს ადამიანის“ ფიგურა აჩუქა. მისი თქმით, ყაზახეთში ის ბედნიერების მომტანად ითვლება.

კიმ კარდაშიანმა ბრილიანტის კბილები წარმოადგინა



რეალითი-შოუს „კარდაშიანების ოჯახის“ მონაწილე კიმ კარდაშიან-უესტმა თაყვანისმცემლებს წარუდგინა ახალი ბრილიანტისთვლებიანი ჩასასმელი კბილების პროთეზი. მისი ამსახველი ფოტოსურათი ინსტაგრამში ტელევარსკვლავის გვერდზე გამოქვეყნდა.

ზუსტად ასეთივე სამკაულს ატარებს ამერიკელი ჰიპ-ჰოპ შემსრულებელი ლილ უეინი. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მისი სამკაულის ფასი 150 ათას დოლარს აღემატება.

ამერიკელი დამალობანას თამაშს შეეწირა

ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ დეტროიტში დამალობანას თამაშის დროს 21 წლის მამაკაცი დაიღუპა.

მეგობრები მიტოვებული საწყობი შენობის მეცხრე სართულზე ერთობოდნენ, რომელიც 2002 წლიდან ცარიელია. დამალობანას თამაშის დროს მათ ერთ-ერთ მონაწილეს ვერ მიაგნეს, დაიშალნენ და სახლებში წავიდნენ.

მეორე დღეს მეგობრები დაბრუნდნენ და ძებნა გააგრძელეს. დაკარგული მოთამაშის ცხედარი პირველ სართულზე ლიფტის შახტში ნაგვის გროვაში აღმოაჩინეს. როგორც ჩანს, ის იქ თამაშის დროს ჩავარდა, როდესაც დამალვას ცდილობდა. მისი დაღუპვის გარემოებებს პოლიცია იძიებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

17 იანვრისთვის

- აშშ დოლარი — 2.6644
- ევრო — 3.0449
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4203
- 100 რუსული რუბლი — 3.9687

ამინდის პროგნოზი 17 იანვრისთვის

10 იანვრიდან



რომან გვენცაძე
საბედისწერო გასროლა

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

15 იანვრიდან

ჯემალ ჩახავა
ქურდები და არიფები

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

17 იანვრიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი
ვინ მოკლა ინსპექტორი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

მიქელანჯელოს შესაძლო ნახატი მოიპარეს

ბელგიის კომუნა ზელეში წმინდა ლიუდგერის ეკლესიიდან უცნობმა პირებმა ნახატი მოიპარეს, რომელსაც მიქელანჯელო ბუანაროტის მიაწერენ.

ინტერპოლის მონაცემებით, სურათი 11 იანვარს ადგილობრივი დროით 5:00-სა და 6:00 საათს შორის პერიოდში დაიკარგა. ნახატის გაუჩინარებას ყურადღება ადგილობრივი მრევლის ორმა წევრმა მიაქცია, რომლებმაც საკურთხეველთან ყვავილები დააწყვეს. გამტაცებელმა შენობაში, სავარაუდოდ, საიდუმლო შესასვლელიდან შეაღწია.

სურათის დაკარგვის წინა საღამოს ეკლესიის მახლობლად



მდებარე ქალის ყურადღება საეჭვო ახალგაზრდა მამაკაცმა მიიპყრო. როგორც კი მან მას ფანარი მიანათა, ის გაიქცა. ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც შეხედულებით 20 წლისას ჰგავდა, მუქი ფერის სამოსში იყო გამოწყობილი და თან ჰქონდა ზურგჩანთა.

პასტორმა იან ვან რემდონკმა ვარაუდი გამოთქვა, რომ ნახატი, რომელიც მოიპარეს, აღორძინების ეპოქის ერთ-ერთ გენიალურ წარმომადგენელს ეკუთვნოდა. ამის შესახებ 20 ადამიანმა იცოდა. ასევე მან სასწრაფო ელექტრონული წერილები გააგზავნა მუზეუმებში, თუმცა პასუხი არ მიუღია. პასტორმა არც ის გამორიცხა, რომ შესაძლოა მისი ელექტროფოსტა გატეხეს.

მან ეკლესიაში მიქელანჯელოს შემოქმედების წამყვანი სპეციალისტი მარია ფორჩელინო მიიწვია, თუმცა მის ჩამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე სურათი დაიკარგა.

რემდონკმა დაკარგული სურათი 100 მილიონ ევროდ შეაფასა, თუმცა პოლიციამ მისი გადაფასების უფლება დაიტოვა. სურათი ეკლესიას 16 წლის წინ ყოფილმა ბელგიელმა სენატორმა ეტიენ კორმანმა აჩუქა.

აღსანიშნავია, რომ ნახატის ზომები 145 სანტიმეტრი 99 სანტიმეტრზეა, ხოლო წონა დაახლოებით 100 კილოგრამს შეადგენს. ასე რომ, ეკლესიიდან მისი გატანა ერთ პიროვნებას გაუჭირდებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

კაცი ქალს ეუბნება:
– შენ ჰაერივით ხარ.
– ისეთივე მსუბუქი? – კეკლუცად ეკითხება ქალი.
– არა, მასავით მთელ ფართობს ავსებ.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:
– ჩემი გესმის?
– კი, მესმის.
– მაშინ იქნებ მეც ამიხსნა.

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:
– მინდა, შენ ახლო ნათესავებზე დაგელაპარაკო!
– მართლა?!
– შენი დედა...! როდის დამიბრუნებ ჩემ 500 ლარს?!

მზარეული და ოფიციანტი კლიენტს სამზარეულოდან თვალს ადევნებენ. მზარეული ეუბნება:
– ერთი შეხედე, ჭამს, მართლა ჭამს!

•••

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:
– რა გჭირს, როგორ გამხდარხარ?
– ვნერვიულობ და...
– რაზე?
– ქმარი მღალატობს.
– მერე შენც ადექი და გაეყარე.
– ჯერ არა, კიდევ ხუთი კილო მაქვს დასაკლები.

•••

ერთი ბავშვი მეორეს ეკითხება:
– ახალი წლის წინ თოვლის პაპას სმს-ი გაუგზავნე შენი სურვილებით?
– ჰო.
– მერე, პასუხი მოგივიდა?
– კი, მომწერა, თქვენ ანგარიშზე თანხა არ არისო.

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:
– ღმერთს ვევედრებოდი, რომ კარგი ქმარი მყოლოდა და მართლაც კარგი ქმარი გამომიგზავნა.
– მართლა?
– ჰო. აი ჩემი ქმარი კი კარგ ცოლს არ სთხოვდა და ამიტომაც მე შევხვდი.

•••

დილით კაცს მაგარ „პახმელიაზე“ გაეღვიძა. თვალი გაახილა და ხედავს კედელზე წერია: „ხვალიდან არ ვსვამ!“
– მადლობა ღმერთს, დღეიდან არა! – ჩაილაპარაკა კაცმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჟოზე მოურინიო კომენტატორი გახდა

ჟოზე მოურინიო მანჩესტერ იუნაიტედიდან წასვლის შემდეგ უსაქმოდ დიდხანს არ დარჩენილა. მოურინიომ კონტრაქტი გააფორმა ბი ინ სპორტსთან.

ის ერთ თამაშში 67 ათას ევროს გამოიმუშავებს.

ჟოზე მანჩესტერ იუნაიტედის თამაშებს არ წაიყვანს, რადგან ამ გუნდთან მან შეთანხმებას მიაღწია. გარდა ამისა, მოურინიო საფეხბურთო ექსპერტიც იქნება.

პორტუგალიელი სპეციალისტი მანჩესტერ იუნაიტედიდან 18 დეკემბერს დაითხოვეს ცუდი შედეგების გამო.

ერნესტო ვალვერდე ბარსელონასთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს

ბარსელონას პრეზიდენტმა ჟოზეფ ბარტომეუმ ერნესტო ვალვერდე შეაქო და თქვა, რომ მასთან სეზონის ბოლოს ბარსელონა ახალ კონტრაქტს გააფორმებს.

ბარტომეუს თქმით, ვალვერდე თავის მოვალეობას ძალიან კარგად ასრულებს.

– ერნესტოს მუშაობით კმაყოფილი ვარ და მომავალ სეზონში ის აუცილებლად დარჩება ბარსელონაში. ჩვენ მასთან ახალ კონტრაქტს გავაფორმებთ. იმედი გვაქვს, ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდება, – განაცხადა ბარტომეუმ.

ამჟამად ბარსელონა ესპანეთის სატურნირო ცხრილში პირველ ადგილს იკავებს და უახლოეს მდევარს 5 ქულით უსწრებს.

ალვარო მორატა შესაძლოა ატლეტიკოში აღმოჩნდეს

ლონდონის ჩელსის ესპანელი ფორვარდი ალვარო მორატა შესაძლოა სამშობლოში დაბრუნდეს და ატლეტიკოს ფეხბურთელი გახდეს.

მორატას ჩელსიდან წასვლა სურს, რადგან ის ხშირად ვერ ხვდება გუნდის ძირითად შემადგენლობაში. გარდა ამისა, მორატას ცოლს ესპანეთში სურს დაბრუნება.

ატლეტიკოში მორატას ორჯერ ნაკლები ხელფასი ექნება, ვიდრე ჩელსიში, მაგრამ ეს მისთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს.

ჰარი კეინი მარტში დაბრუნდება

ტოტენჰემის ფორვარდმა ჰარი კეინმა მანჩესტერ იუნაიტედის წინააღმდეგ შეხვედრაში ტრავმა მიიღო და ეს ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა.

კეინი დაახლოებით 2 თვე იუქმებს და მოედანზე მარტში დაბრუნდება. კეინის არყოფნა ტოტენჰემისთვის უდიდესი დანაკლისია, რადგან ის ამ გუნდის მთავარი გოლეადორია. კეინის გარდა, ტოტენჰემს ჰიომ მენ სონიც გამოაკლდა, რომელიც აზიის თასზე იღებს მონაწილეობას.



სადიო მანე: „ლივერპული ჩემპიონი უნდა გახდეს“

ლივერპულის ფორვარდმა სადიო მანემ განაცხადა, რომ წელს ლივერპული ვალდებულია, ჩემპიონი გახდეს და ისინი ამას მოახერხებენ.

მანეს თქმით, ლივერპულს ამისთვის ყველაფერი ხელს უწყობს.

– როდესაც ვარჯიშზე მივდივარ, ხშირად ვფიქრობ ხოლმე ჩვენს ჩემპიონობაზე და დარწმუნებული ვარ, რომ ეს გამოგვივა. ჩვენ სტაბილური გუნდი გვყავს, რომელშიც ძლიერი ფეხბურთელები თამაშობენ, – განაცხადა სადიო მანემ.

ამჟამად ლივერპული მეორე ადგილზე მყოფ მანჩესტერ სიტის 4 ქულით უსწრებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯვრიანი სიტყვები



შვეულად: 1. გემის სრული ტვირთმზიდაობა; 2. კუბის ფორმის მეჩეთი მექაში; 3. ხმის ჩანაწერების საცავი; 4. ქიმიური ელემენტი ძალზე მტკიცე მეტალი; 7. ფულის ერთეული სომხეთში; 9. ყველაზე დიდი მდინარე ავსტრალიაში; 12. პოპულარული კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი უკრაინაში; 14. ფულის ერთეული პანამაში; 15. თხზულება „აბდულმესიანის“ ავტორი; 17. მონასტერი სტეფანწმინდის რაიონში; 20. ჯარების მართვის ორგანო.

თარაზულად: 5. აგროსამრეწველო გაერთიანება საქართველოში; 6. ფაიფურის წარმოებაში გამოყენებული თეთრი ფერის ცეცხლგამძლე თიხა; 8. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ძველად საქართველოში; 10. ხორცპროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 11. რუმინეთის ფეხბურთელთა გუნდი; 13. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 16. დუქნის დახლიდარი; 18. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი; 19. პურეული მცენარე; 21. დანიელი არქიტექტორი, სიდნეის ოპერის თეატრის პროექტის ავტორი; 22. ჩეჩნებისა და ინგუშების სახელწოდება ძველად საქართველოში; 23. სომხური ანბანის შემქმნელი.

შეადგინა თ.კობალეიშვილმა